


ህጽናዊ ሠነድ

K 119 870
3

ህጽናዊ ሠነድ
ህጽናዊ ሠነድ



ქართული კონსტიტუცია



K 119.870
3

საქართველოს
კონსტიტუცია

და

საქართველოს
ქვეყნის

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1965



წინამდებარე კრებულში შესულია საქართველოში მცხოვრები ქუთის პოეტების ლექსები და ბალადები. მათი შემოქმედება გამსჭვალულია ჩვენი ქვეყნისადმი მგზნებარე სიყვარულით. ისინი მთელი გრძნობით უმღერიან საქართველოს ღამაზ ბუნებას, საბჭოთა ხალხების მეგობრობასა და ოქტომბრის რევოლუციას, რომელმაც ამ ხალხებს თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება მოუტანა.

სკკგ-2000
შვეიცარიული

* * *

მზე ამოდის, მზე ჩახჩახებს,
მზე ცისა ფერს ერთვის;
გაიღვიძა დედამიწამ
და ლაქვარდებს ელტვის;
შეხე, ცაში სრიალია
სამშვიდობო მტრედის;
დაცხრი, დაცხრი, კაცთა მოდგმავ,
შენ და შენი ღმერთი!..
ეს თენება, ეს ჭენება
ცაში ოქროს ეტლის, —
ყველაფერი შენია და
ყველაფერი — შენთვის!

* * *

ღრუბლიანი ცა იყო,
წვიმდა, წვიმდა, წვიმდა;
უცბად წვიმამ გადაიღო
და მშვენიერ ხიდად
ცისარტყელა შვიდფერი
კლდიდან გადმობრწყინდა...

ზეცა ააბღლიალა,
შეხე, შვიდფრად ბრიალას,
ციდან ცამდე ჰკიდია;
ეგ უბრალო კი არა,
ლტოლვის, ნატვრის, სურვილის
საოცნებო ხიდია.

* * *

უმხურვალესმა
ცეცხლის ბურთმა გაზაფხულისამ,
ცხოველმყოფელმა,
გადმოხედა ალერსით მიწას:
გააღბო თოვლა,
ჩანჩქერები გააგულისა,
მინდვრებს სურნელი,
ჭრელ ყვავილებს სიცოცხლე მისცა.

ხოლო შენ,
როცა, საყვარელო, შენთან მოვედი,
გულს დამახალე
საოცარი სხივების დასი —
შენ მე მიხსენ და
მე გამხადე ქვეყნად პოეტი,
ჰქმენ სასწაულა,
გამიცოცხლე სიმები საზის.

მას შემდეგ ლექსი
მე სამშობლოს ცამდე ავზიდე:
შენგნით, შენ გამო,
შენთვის ვმღერი ოქროს ყასიდებს.*

* ყასიდი—სალექსო ფორმა აღმოსავლურ პოეზიაში.

* * *

მაღალ მთებიდან
სალამურის წკრიალი მესმის:
ჰოი, რა გრძნობით
აწკრიალებს სალამურს მწყემსი!

ვეება ჯოგი
მთის ფერდობებს მიიძოვს ნელა —
თოთო ბალახებს,
ქრელ ყვავილებს თელავს და თქერავს,

ჩუ, ლხეება თოვლი,
მზე აცხუნებს და სადაც სალი
კლდე გაპობილა,
იღვენთება ცრემლივით წყალი.

დედის ცრემლივით
ნაკადული ჰკიდია კლდეზე —
ეს ნაკადული არ გეგონოს,
ცრემლია ესე:
ტირიან მთები
გადაჯევილ ყვავილთა ბედზე.

* * *

უსამშობლო კაცი
იმ ჩიტუნას ჰგავს,
რომ დარჩება უბუდოდ
და ჩაჰკიდებს თავს.
გრილებენ ბომბები,
სისხლის წვიმა ცრის...
ქურთისტანო,
ქურთისტანო,
შენს შვილს ცრემლი სდის.

* * *

როგორც მთაში ჯიხვზე,
ირემზე და შველზე,
ისე, ჩემო ქურთისტანო,
ნადირობენ შენზე.
ვაი! ასი გესროლეს!
ასი ათასს გესვრიან...
ჩუ, ჭალარა მთები,
დაცხრილული მთები,
კვნესიან.

* * *

გარდუვალთ სიბერე:
იქნება სახეც დაღაროს,
იქნება მისდგეს საფეთქელს
და უღვთოდ შეაქადაროს,
მაგრამ გული და სურვილი
კვლავ მტკავლით ზომავს სამყაროს
და რითაც გახარებულა
კვლავ იმან უნდა ახაროს...

უშვენიერეს სურვილებს
აქვთ უკვდავება სრული.
გარდუვალთ სიბერე,
არ დაბერდება გული!

* * *

მზე ჩადის, ჩადის,
სალამო მოდის;
ამოცურდება
მთოვარე როდის?

აჰა, გამოჩნდა
მწვერვალებს ზემოთ;
შენ როსდა მოხვალ,
ძვირფასო ჩემო?

ჩუ, აგერ ისიც,
გამოჩნდა ფრთხილად.
გუგუნებს გული,
გუგუნებს ტკბილად.

ჰა, თავს ხრის მორცხვად
და სალამს მაძლევს,
აწყდება სისხლი
მხურვალე ლაწვებს.

ახლოს, ო, ახლოს,
ძვირფასო ჩემო!
ჰკიდია მთვარე,
მწვერვალებს ზემოთ.

* * *

ჰე, მამულო, შენს უღრუბლო ცას
გავცქერი და გამარჯვებით ვტკბები:
კოსმოსიდან ჩამოფრენილ დას
დახვევიან

კოსმოსური ძმები.

ახდენილა ოცნებები ძველი
შვილთა შენთა გზნებითა და ფრთებით,
დაწერილა გამარჯვების წელი,
გათელილა

კოსმოსური გზები.

სამშვიდობო ცის ნათელი მათობს,
სამშვიდობო ლაევარდებით ვთვრები;
მაგრამ სადღაც აფეთქებენ ატომს
და სწამლავენ

ზეცას შენი მტრები.

დულს ბოღმა და ხალხის რისხვა დულს
და დედების მრისხანებას ვყვები.

სამშვიდობოდ, სამშვიდობოდ ჰქუხს
სიმღერა და

კოსმოსური ფრთები...

ჰე, მამულო, შენს უღრუბლო ცას
გავცქერი და გამარჯვებით ვთვრები:
კოსმოსიდან ჩამოფრენილ დას
დაჰხვევიან

კოსმოსური ძმები.

* * *

ახალგაზრდობა ჩქარია,
ხარობს, ჩქარობს და ილტვის...
ნეტავ კი სად გეჩქარება,
ანუ იჩქარი რისთვის?

აქ ოქროს დღეთა ჯარია
და ცად გაშლილი ფრთები,
იქ — ავღრიანი დარია,
დათოვლილია მთები.

შენ რომ უწყოდე, — ქალარა
და სიბერეა გზაზე, —
მშვიდი ნაბიჯით გასწევდი,
არ იჩქარებდი ასე!

* * *

ვიცი, მოვკვდები ერთხელ,
მტვრად ვიქცევი და ფერფლად;
მაგრამ ერთსა ვთხოვ გამჩენს,
ვინც ეს ქვეყანა შექმნა,
თუნდ ორიოდე დღით
კვლავ გამაცოცხლოს პეპლად:
მოვიფარფატო ხმელი,
მამულს დავუწყო ძებნა,
ვნახო ქვეყანა ვრცელი,
ხალხი

რასა იქმს ქვეყნად.

* * *

ვიცი, მოვეკვდები ერთხელ,
მტვრად ვიქცევი და ფერფლად;
მაგრამ ერთსა ვთხოვ გამჩენს,
ვინც ეს ქვეყანა შექმნა,
თუნდ ორიოდე დღით
კვლავ გამაცოცხლოს პეპლად:
მოვიფარფატო ხმელი,
მამულს დავუწყო ძებნა,
ვნახო ქვეყანა ვრცელი,
ხალხი
რასა იქმს ქვეყნად.

დ ა რ ე ჯ ა ნ

ჩემო პატარა დარეჯან,
ჩემო პაწია დარიავ,
კოკობს მიგიგავს ტუჩები,
კბილები — სპილოს ძვალია.
გაგხადე ჭრელა-ჭრულები,
ძველი ადათი მკვდარია.
სწავლობ და წიგნებს ჩასცქერი,
სკოლისკენ მიგიხარია.
დრო ქრის და ჩვენთვის უბერავს,
დროის დინება ჩქარია.
არც ალა გვადგას ჯალათად,
არც სადმე დრუბლის ჯარია.
დარიავ, ჩემო დარეჯან,
ჩემო პატარა დარიავ,
შენზე ამბობენ: „შეხედე,
სიმღერისათვის სცალია,
ყაყაჩოსავით ანათებს —
ქურთის პატარა ქალია!“

თბილისი

ულამაზესო, ჩემო ქალაქო,
დე, ჩემი გული იყოს თავდებად —
მე მინდა ლექსით გელაპარაკო,
შენს სილამაზეს რომ ეკადრება.

მე მინდა ლექსი მწვანე ქუჩებზე,
დიდ ხეებზე და ლამაზ სახლებზე,
მალე ატმები ცეცხლს გაუჩენენ
შენს ლამაზ ბაღებს და მოგძახებენ...

შენი სიტურფე ვინ დაიმოსოს,
გული და სული შენ გეფერება,
ისეთი ლექსი მინდა, თბილისო,
ტკბილ ჩონგურზე რომ დაიმღერება.

რომელი იყო, ვინ შეგეგლია,
ვინც შენს მადლიან კალთას ენდობა,
შენს პლაკატებზე ასე სწერია:
ხალხთა მშვიდობა, ძმობა, ერთობა.

ზღვა სილამაზით რომ მამუნჯებენ
და რომ მტაცებენ გულსაც და თვალსაც —
ასე ამბობენ შენი ქუჩები —
მშვიდობა მიწას,
მშვიდობა ხალხსა!

ფაკე ტაირან

რომ აგაყენა და მესტუმრო,
ფაკე ტაირან, —
გავახურებდი იქით დოლს და
აქეთ დაირას.
ჩავარიგებდი ცივ-ცივ დოქებს
მაღალყელიანს,
ჰე, მოისმენდი
თუ შენს ლექსებს როგორ მღერიან...
არ მინახიხარ... —
გულზე შენი ხმა დამეფინა,
ქურთების ველზეც
ყვავილები არ მიკრეფია, —
მეამაყები და შენს ლექსებს
ვამბობ ზეპირად... »

რომ აგაყენა და მესტუმრო,
ფაკე ტაირან, —
ჰე, მოუსმენდი ამ ტკბილ ზურნას,
დოლს და დაირას,
და პოეტებიც
შეგამკობდნენ ნაირ-ნაირად.
ქართულ წინანდლით ავავსებდით
ყანწებს ცარიელს
და შენც იტყოდი
საქართველოს მრავალყამიერს.

მზობლიური ენა

იყო დრო, როცა უუფლებო ხალხის წუხილი
მწუხრის ზარივით ქვითინებდა პოეტის ლექსში.
მაგრამ მოგვესმა გაზაფხულის ლალი ქუხილი,
თავისუფლებამ კვლავ აგვანთო სხვაგვარი ემხით.

როგორც მინდორში იღიმება მინდვრის ყვავილი,
ანთია სიტყვა თვალუწვდენელ სივრცეთა მიღმა.
სიტყვა — მზის ოქროს ემბაზიდან ამოყვანილი,
ოქტომბრის ცეცხლში გამოიწრთო და გულით გვიყვარს.

სიტყვები ჰქუხან, გვეძახიან, ჩვენსკენ ილტვიან
და აღელვებენ, აშფოთებენ მთლად ჩვენს არსებას:
სიტყვა — ეს ზღვაზე გატყორცნილი მარგალიტია
და ნიჟარებში სიზმარეულ სუნთქვად თავსდება!

სიტყვა წმინდაა და წკრიალებს, როგორც მთის წყარო,
სიტყვა ელვაა და ლაქვარდში გააქვს კრიალი:
სიტყვის გარეშე ერის სულმა ვით გაიხაროს,
ის, როგორც მიწა, თბილია და ბარაქიანი.

ო, ჩემო ენავ, ჩემს ქვეყანას ისე სჭირდები,
როგორც გვალვის უამს დედამიწა შხაპუნას ითხოვს,
შენს სილამაზეს ვერასოდეს ვერ დავცილდები,
ცივი ქაღალდი ვით დაიტევს უსაზღვრო სითბოს!

მაგრამ არასდროს არ ყოფილხარ ასე ლამაზი,
ასე მდიდარი, მრავალმხრივი და სივრციანი.
როგორც ამჟამად, გმირობის და შრომის ხანაში,
ოდეს სიმღერებს ლაქვარდებში გააქვთ წკრიალი!



გვიხვარს მუვილოზა

გვიყვარს სიცოცხლე, თავისუფლება,
სიყვარულს არვის არ ვედავებით,
გვიყვარს მზე, ზეცა,
გვიყვარს, თუ გნებავთ, —
ნათელი მთვარე და ვარსკვლავები.

და ჩვენ არავის არ მივცემთ ნებას,
რომ დაგვირღვიოს მშვიდი სუფევა,
რომ ჩვენი ზეცა, და ჩვენი მთები
ჩამოაშავოს მიძიმე ღრუბლებმა.

რომ სიხარული გვიქციონ გლოვად
შავი ჩააცვან ჩვენს დედებს ისევ —
არა, ეს უამი არასდროს მოვა,
ჩვენ ამის ნებას არავის მივცემთ.

მილიონები დარაჯად ვდგავართ,
საკადრის პასუხს გავცემთ ყაჩაღებს,
ცოცხალი თავით ვერსაით წავა,
ვინც ეცდება და ომს გააჩაღებს.

ლენინის პარტია

ჩვენი გმირული დიდი პარტია
შექმნა ლენინმა დიდმა ბელადმა,
მან ჩვენ ცხოვრება გაგვიადვილა, —
გზა ყვავილებით აგვიფერადა.

წლები გადიან, წლები გადიან,
მაგრამ ხსოვნაში ღრმად ჩაკირულა,
როცა გმირული ჩვენი პარტია
სიმართლისათვის აღსდგა გმირულად.

გლები თუ მუშა აღზევდა ყველა
და დაირაზმნენ მილიონობით.
გადაიარა ოქტომბრის ელვამ,
გავანადგურეთ ის დრო მონობის.

ახლა ბალია ჩვენი ქვეყანა,
ბალი ერთობის, ბალი ძმობისა.
სასიყვარულოდ ერთად შეგვეყარა, —
რა დააბერებს დღეს ოქტომბრისას.

გვახსოვს „ავრორა“, ქუხილი მისი,
სიმღერა ძმობის, პატიოსნების:
სიმართლისათვის დაღვრილი სისხლი,
ტყე ხიშტებისა და ჯავშნოსნები.

გვიყვარს ყოველი ოქტომბრის მოსვლა,
ამ დღიდან დადგა ახალი ერა...
ფრიალებს ჩვენი პარტიის დროშა,
რამეთუ ლაღად იცხოვროს ყველამ.

ჩემი ქვეყანა

ღმერთმა გაშოროს ყველა განსაცდელს,
ყველგან დამყვები დედის თვალებით,
მე შენ დამბადე და შენ გამზარდე,
მკვდარიც შენს მიწას მივებარები.

ვიგონებ იმ წელს, ბრძოლის ნაღარას,
წელს, გამარჯვება რომ მოგვიტანა.
და მწამს ყოველი წელი ახალი
ახალ ძალ-ღონეს გვმატებს ტიტანურს.

ქვეყანავ შრომის, წინსვლის, შენების
ჩვენ შენი ძენი თუ ასულები
გალადებულნი, ბედნიერები
კომუნიზმისკენ მივეშურებით.

რა დიდი გზაა და რა დიადი,
მშვიდობის დროშა ცეცხლად ანთია!
მარტო არა ვართ, ჩვენ გზას გვინათებს
კომუნისტური ბრძენი პარტია,
ვარსკვლავებისკენ გზა გავიკაფეთ,
სულ გვიცხადდება, რაც გვინატრია.

სამუოგლო

მეამაყება შენი სიმაღლე,
გული და სული მთლად გამილაღე.

ვუსმენ რადიოს, ამალღდა ჭერი, —
მსოფლიოს ესმის დიდება შენი:

„აღმოსავლეთი“ კოსმოსში ფრინავს,
ვარსკვლავებს შორის დაიდო ბინა.

ეს შენ გახსენი კოსმოსის კარი
და დიდ სიხარულს აუბი მხარი.

ეს შენ გიძღვნიან ტაშსა და ვაშას, —
შენს შემართებას და ფრთების გაშლას.

შენ გიმღერიან... საბჭოთა მხარე
პირველი აღებ კოსმოსის კარებს!..

ოგი ქურთისტანში

ჯარისკაცები ცოტაა ჩვენში,
მაგრამ ბევრია საქმე საგმირო.
მართალი გული დე, ძვერდეს მკერდში,
შთამომავლობა რომ გავაკვიროთ.

ყველა მებრძოლი იყო ამაყი,
როგორც სამხრეთის ლალი არწივი:
შეებას მატებდათ სითბო ბალახის
და მზის ღიმილი ჩრდილგადაცლილი.

და აღიდებდნენ მშობლიურ მხარეს,
ერთი გზა ჰქონდათ, ერთი მიზანი;
არ გამხდარიყო ცა ნახვისარი,
არ მოსწრებოდნენ წუთებს ნაღვლიანს!..
ეს — ქურთისტანის გმირი ხალხია!

იყოს ვაჟკაცი, — ვალია მისი,
ხედავ? — იღვრება ალალი სისხლი,
ხედავ? — მოგიხტა კარზე ბასისტი
და ცეცხლი ბუგავს სოფლებს, ქალაქებს,
აღსდექ! აენტე! გასწი განრისხდი
და ტყვიის ენით ილაპარაკე.

ხედავ? — მოხუცებს დაენგრათ ჭერი!
ხედავ? — ბავშვების უაზრო თვალებს...
გაძარცვეს მიწა, ბოგინობს მტერი,
უნუგეშობა სულს ავალალებს:
ახლა შენ გიხმობთ, შენზეა ჯერი,
რომ დაერიო უცხო ქარავნებს!..

ადულდა რისხვა ცხრა მთით და ცხრა ზღვით,
მამულის ცის ქვეშ ბნელდება სივრცე.
ლეგენდარული ბარზანის რაზმი
მტერს სამარის წილ სამარეს მისცემს!

სიკვდილი სიკვდილს თვალში უყურებს
და იბადება ზღაპარი ასე!
ელვის ნამსხვრევი გაჰკვეთს უკუნეთს
და სამართლის ხმას ეს საუკუნე
ცისკრად აანთებს სამშობლოს ცაზე!

მკაცრი აქვს ეამი ერაყის ბასისტს,
განკითხვის ეამი — ხმალივით ბასრი.
ომი გზას ეძებს უკანდასახევს,
მაგრამ მყარია გარშემო ბჭენი
და მომხდღურებში, ვით შიშის სენი,
ყოფნა-არყოფნის წამი ცახცახებს!..

წინ, ქურთისტანო! შენ ხარ უკვდავი
შენი მთებით და შენი ბორცვებით.
საკუთარ სულს ლევს სულთამხუთავი
და კვლავ დიდებით შეიმოსები!
წინ, ქურთისტანო! ძვირფას საფლავებს
შენი სახელით დროშებს ვაფარებთ!..

ახლა საკუთარ სიმშვიდეს ზვერავეთ
და ერთ სიმართლეს ერთურთს აყვარებთ;
თუ გულში ბრწყინავს მომავლის რწმენა,
ვერას დაგაკლებს გულშავი ღამე!

ძველ დროში, წლების გადაღმა, მე ერთ სოფელში მოვედი მოხუცთან ერთად, რომელსაც ქებით ვიხსენებ ყოველთვის, — ვინც ბნელი, უკულმართობა აღგავა მშობელ მიწიდან, ვინც დრომას, დაუმარცხებელს, შთამომავლობას გვიწვდიდა. შედგა ჭარმაგი მოხუცი და მე მომმართა ამგვარად: — ეს ჩემი სოფელი გახლავთ, ეს წყაროებიც — ანკარა. — დიახ, აქედან ვუმზერდი დამეს ჭალებზე გამოტილს და ჩემს ქალიშვილს — შაქესაც სწორედ აქედან გავშორდი. მე შაქე მეგულვებოდა ჩემი ცხოვრების დასტურად და როცა მივუჯღებოდი იმის ქათქათა სასთუმალს, — თავს მომაყრდნობდა მკერდზე და თანაც მეტყოდა ნაღველით, — ეს იყო მისი გულისთქმა იმ დროის გამომსახველი: — რატომ მოხდაო, მამილო, რომ გამათხოვეთ ძალადა, ძველმა ცხოვრებამ დამჩაგრა, ბედნიერება წამართვა. და ჩემი ბედიც მოკვავდა, ამბავს ქვიშაზე დაწერილს, ასეთი ყოფნა შემეჯავრდა, ყველგან თავს ვხრიდი დარცხვენით. — ეჰ, ჩემო შვილო, რა გვექნა, ეს იყო ქურთთა ადათი, კინალამ სულაც ამოვწყდი, კინალამ სულაც გავთავდი... მე გამოხედვა შაქესი, სახის იერიც იმისა ვამსგავსე თვალთა გახელას მძიმედ დაჭრილი ირმისას. ...შემოანათა მზის სხივმა დიდი ცხოვრების სარკმლიდან და შაქეს საცხოვრისზედაც სხვაგვარი ყოფა დამკვიდრდა. ჩვენ დავეწაფეთ ცხოვრებას, ვით წყაროს სუფთას, ანკარას, გულში კი შაქეს ხსენება, ო, არასოდეს გამქრალა! თითქოს და დღესაც მინათებს მისი თვალების ნაკვესი, მე ჩემს შვილოშვილს დავარქვი თვითონ სახელი შაქესი. დაე ფუნჩულას, პატარას, მიამიტსა და უცოდველს ახალი ყოფის ნათელი ბედნიერებად უძლოდეს.

მშობლიური მხარე

ო, მშობლიურო მხარეო ჩემო,
ჩემთა გრძნობათა ამქუხარებაჲ;
ჩემი ბავშვობის კერავ და ჭერო,
ლხინიც მასწავლე და მწუხარებაც.
სადაც ვიქნები, ყველგან, ყოველთვის,
მე შენთვის მინდა ლექსი მცირედი.
შორს ვიყავ, ისევ შენთან მოვედი,
ვსულდგმულობ შენი ნახვის იმედით.
შენს სახელს მუდამ კრძალვით წარმოვთქვამ,
მხარეჲ, სულის და გულის შემძვრელო!
ო, დამაწაფე შენთა წყაროთა,
მერე სიკვდილიც აღარ მეძნელოს!
გთხოვ, მთაო, შენი სიო მომბერე, —
და შენც — არაგვო, ლალად მდინარო!
თუნდაც სიკვდილი მოვიდეს მერე,
შენ არ მომიკვდე, აღარ ვინანო!

ქურთის ასული

მდინარესთან, ქვიან გზაზე, მიდის ქურთის ქალი,
სადაც სიციხის აღმურია და მზე სხივებს აჭერს.
ლამაზმანმა უცნაურად წარიტაცა თვალი,
მომაბრუნა უნებლიეთ მისთა თვალთა საჭემ.
აბრეშუმის თავსაფარით ლამაზ სახეს ფარავს.
მე არ ვიცი, მის თვლებში ელვაა თუ მზეა, —
დაინახავ, გავიტაცებს, დაგატყვევებს მარად,
კაცი ვერსად გაეჭევი ლამაზ თვალთა ციალს.
ელვასავით ანათებენ თვალნი წარბებს ქვემოთ, —
რად ღირს მისი გამოხედვა, ოი, ღმერთო ჩემო!

ნ ბ რ ე

სალამოსი უამს ქურთთა კერიას
 მოჰქარგავს მთვარის სხივთა ძაფები.
 და შორს, შორს სადღაც ქარში მღერიან
 ტკბილად ზურნები და დაფდაფები.
 აბა, გამოდით, მზექაბუკებო,
 და თქვენც, — ქალებო, წარმტაც ჰანგებზე.
 მოდით, მოგროვდით ყველა უკლებლივ,
 სამღერლად გული ვისაც გაქეზებთ, —
 გაუხუნარი ყველა დრო-ყამის —
 ეს მოტივები გახლავთ ქოჩარის.
 ჰეი, მუტრიბო, დაუკარ სწრაფად,
 იმღერე, ძმაო, და ჩვენც გვამღერე;
 მედოლეგ, დასცხე დოლსა და დაფდაფს
 და ჯადოქრული სული შთაბერე...
 ვაჟკაცებს ნარეს ტრფობა აწამებთ.
 დადის, ანათებს მზისებრ დიადად.
 იმისი ეშხით და წარბ-წამწამით
 რამდენი გული დადარდიანდა!
 გადაიქროლებს ნიაფი ზანტად,
 მთებს და მდელოებს დატოვებს ხენეშით.
 სალამურის ხმა გაისმის სადღაც
 და ჩაინთქმება ხევში.
 მუსიკოსნი კი უკრავდნენ ურჩნი,
 ვაჟკაცურ ჰანგებს, გულის გამგმირავს
 და რა ხდებოდა გოგონას გულში,
 ვერ მიხვდებოდა კაცი ადვილად.
 მერე ყველაფერს გაფანტავს დილა...
 ცეკვა, სიმღერა გულას წამოიები,
 აფართხალდება გული, ვით ჩიტი;
 აგვიჩქროლდება სისხლი ძარღვებში —
 წლები კი მიდის!..

მე ჩემს სიმღერას ვმღერძ

მე მდინარის პირას ვზივარ
ვუსმენ ტალღას მოჩუხჩუხეს.
თეთრი ზვირთი ზვირთზე ცვივა
და მეც გულის ნადებს ვუმხელ.
ვაქებ გმირებს და სამშობლოს,
ჩემს ხალხს ასგზის ნასახელარს.
ხან ვეწვევი მთას და მდელოს
ჩემთა ფიქრთა გასამხელად.
აწ ვერავინ ველარ შესძლებს
ჩვენი მიწის კვლავ ხელყოფას.
თუკი ვინმე მოისურვებს,
იგი მყისვე დაემხოზა!
მე ყურს ვუგდებ ჩემს სიმღერას.
ალალ გულის ნაკარნახევს.
ჩემი ლექსი გადაუვლის
ჩანჩქერებს და საკალმახეს.
ეს მშვიდობის სიმღერაა,
დე ესმოდეს მთელს სამყაროს.
ჩემი ქვეყნის მიწა-წყალზე
გმირულ შრომით ყველა ხარობს.

ს ი მ ლ ე რ ა

თქვენ გაგაჩინათ სამშობლო-დედამ,
მიწაზე მთვარის ხართ დობილები
ყველას ვივიწყებ, როცა თქვენ გხედავთ
და სულ სხვაგვარი განწყობილებით
ვაქლერებ ჩანგს და სიმღერას ვბედავ....

უფრო ლამაზი აბა სად არის,
უფრო გიჟმაყი და გრაციული,
მოცეკვავეთა წრეში ჩამდგარი
თან მიწიერი და თან ციური,
თან ბობოქარი, ვით ველზე ქარი.

მთელს ოლქში შენი დარი ვინ არის,
მაღალი ხარ და ლალი, ტანსრული
ყველას სჯობიხარ ქურთის ასული,
თუ იყურები სახით მცინარით,
— მოგირჩენია მოურჩინარი...

შენ დილის ნამით სახეს ისეღებ,
ანათებ ციურ მნათობის დარად
და შეჩვეული შრომას ხელები,
ჩვენი ალერსის წყარო გამხდარა...

და წამწამებით შემოჩრდილულნი
შენი თვალები უფსკრულებია,
იქ ღამეები ჩაბუდებულან
და სიყვარულის ზღაპრებს ჰყვებიან...

ძალუძს ბრძოლის დროს ბრძოლა გასწიოს
ვარდის სინაზით დაჯილდოვებულს
და გააერქოლებს თვით ალაგიოზს,
როცა თვალს მოჰკრავს ქურთ ქალთა კრებულს.

„ტ ა ნ ჯ ჳ ა“

მთების დამამხობელი,
ყინულთა გამლხობელი,
ხარ და ვისაც მიიჩნევ
შენად და ახლობელად,
შეუშვიროს თავი ქვას
და „ვაიც“ კი არა თქვას...

გამირბიხარ, არც სიტყვა
ჩემთვის და არც სალამი,
არც წერილი ჯიბეში,
როგორც წყლულის მალამო.
კაცად აღარ ვვარგვივარ
აღმართზე ვერ ავდივარ...

ო, ჩემო მეგობარო
მკაცრო და სანატრელო
თან მწარევე, თან ნუგბარო
შეიბრაღე მარტვილი!..
გამაბრწყინე ცის ნამმა
სიცოცხლევე, თვალისჩინო,
შენით ნათილისმარმა,
წერილმა მომარჩინოს...

გნახე და გულს მომეშვა,
სააქოს დაებრუნდი,
სიყვარულის მორევში
ნაფოტივით დაებრუნდი....

აჰა, წლები გასულა,
მაგრამ ჩემთვის არ არის
არც სიმშვიდე სულისა
და არც მიწა სამარი.

შენგან დაწესებულა,
რომ არ მეღირსოს ძილი,
მშველოდეს და ვერ ვპოვო
წყალი შენგნით მოწვდილი.
ბნელ ციხედ გადამეჭტა
მე უშენოდ ცხოვრება,
თუ მიშველი, შენს გამზრდელს
ელირსება ცხონება!

ქურთისტანელი დედა

ქურთის დედაო, ერთგულო დედავ,
თუნდ განსაცდელი ადგეს ჩვენს მხარეს,
ცრემლებს ნუ დაღვრი, მტერი შეგხედავს,
მტერი შეგხედავს და გაიხარებს.

შენი შვილები, ხომ შეიძლება,
მტერთან ბრძოლაში ამოწყდნენ სრულად,
მაინც არ გატყდე, არა თქვას მტერმა,
რომ შენი მოდგმა ამით დასრულდა.

ო, ნუ გაიხდი დედაო ჭრელებს,
უფრო ხმამაღლა იმღერე მაშინ,
შენი სიმღერა მტერს გაახელებს,
გონს გამოუღვეს და ძალას მკლავში.

ირგვლივ რაც არი, სულ ნაცარია
და თუმც არ არის დედავ ადვილი,
შენ ცრემლებისთვის არა გცალია,
შენ მტერზე უნდა დაგემო შვილი.

არა, ცრემლი და მოთქმა კი არა,
შვილებს მამათა უთხარ საქმენი,
თუ რატომ სჭირდათ გულზე იარა
და ან ხმალ-ხანჯალს რისთვის აქნევდნენ...

ქურთის დედაო, ერთგულო დედავ,
რა დაამარცხებს ბრძოლაში მართალს
და გამარჯვებულ ვაჟკაცებს ვხედავ,
რომ ემთხვევიან შენს კაბის კალთას.

ქურთისტანის მთები

ქურთისტანის მთები, მტრისთვის შეუვალი,
მისი წყაროები, ქურთის დედის რძეა
და ვინც აქა ცხოვრობს, კაცი არის, ქალი,
მოხუცია, ჩვილი, ასულია, ძეა...

ყელგადაგდებული, ყველა იხვეწება
მამულისთვის სიკვდილს, მისთვის თავდადებას
და რაზმს მოსდევს რაზმი, მოდის არ თავდება,
უფრო ძლიერდება, უფრო იხვეწება.

და რამდენიც უნდა, ტანს ეხვიოს გველი,
გულზე კბენდეს სვაგი იმის რჩეულ შვილებს
არ დაცხრება ზავით რისხვა, — ბრძოლის ველი,
მტრების გახელებას მიწა გააგრილებს!..

ქურთისტანის მთები, მტრისთვის შეუვალი,
დუშმანს ამწარებენ მთიელი ქურთები.
არ დარჩება ვაჟკაცს გადუხდელი ვალი
ვიდრე უძახიან მას სამშობლოს მთები.

ზ ა რ ე

ერთხელ ზარემ გაიხსენა
 საკუთარი წარსული:
 — მეც ვიყავი თვალგიშერა,
 მხიარული ასული.
 მაგონდება ქორბულაღი,
 მშობლიური სოფელი,
 იქ ყოველთვის ქროდა ლაღი
 ქარი დამათრობელი,
 და ფერადი გაზაფხული
 მინდვრებს ალამაზებდა,
 ჩურჩულებდა ნაკადული
 ყანებთან და ვაზებთან.
 თეთრი მთები ამშვენებდნენ
 სოფელს განსაკუთრებით,
 აქ ცხოვრობდნენ, აქ შრომობდნენ
 უშიშარი ქურთები.
 ჰგავდა მართლაც მზეთუნახავს,
 თვალს ვერ მოაშორებდით...
 მაგრამ მკაცრი თემურ-ალა
 მკაცრი იყო ყოველთვის.
 ბევრი გლეხი გაჰსახლა,
 წარბი ბევრჯერ შეხარა,
 მოითხოვდა გადასახადს,
 მოითხოვდა ბეგარას...
 რაღა ბევრი გავაგრძელო,
 ჩვენც უმწეოდ ვცხოვრობდით,

საქმრო მყავდა, მაგრამ ბოლო
არ უჩანდა მოლოდინს.
საქმროს როსტომს ეძახოდნენ,
მწყემსი იყო ცნობილი,
ვერ გაგვყრიდა ვერასოდეს
მკაცრი წუთისოფელი.
მაგრამ ბილწი თემურ-ალა
მხეცი იყო ნამდვილი,
ხანჯალივით შეუნახავს
გულში ავი წადილი.
უნდა ჩუმად გამიტაცოს,
სიყვარული წამართვას,
გულცივია, პატივს არ სცემს
აღათსა და სამართალს...
აღას ცოლთან — ხანუმასთან
მეზობელი შევიდა,
ყველაფერი განუმარტა
მოხატული ენითა;
ცოლმა იგრძნო მწარე სევდა
და გაჩუმდა თვითონაც...
ალა მიზეზს დაეძებდა
და მიზეზი იპოვნა:
ამ დროს მეფემ გუბერნატორს
ჯარი სთხოვა მარაქად,
უფულოდ და უნებართვოდ
არ სტოვებდნენ მამაკაცს.
მიატოვეს მამითაღი
და შეკრიბეს ჯარები,
მდიდარს მეფე დაიცავდა,
ხოლო მეფეს — ღარიბი.
სხვებს როსტომიც გააყოლეს
აღას სამფლობელოდან,
მიჰყვებოდა თანატოლებს,
გული უკან რჩებოდა.

თითქოს ალას ზრახვას მიხვდა,
მუხლებს ენდო საკუთარს,
გამოიქცა შუა გზიდან
და სოფელში დაბრუნდა.
გავიხარე, გამითენდა
დილა უნეტარესი,
მაგრამ დიდხანს არ დაგვცალდა
ერთმანეთის ალერსი.
ამოცვივდნენ აივანზე
თემურ-ალას კაცები
და როსტომი წაიყვანეს
ნაგვემი და ნაცემი.
ბნელ საკანში გამოკეტეს,
კარს დაადეს ბოქლომი,
და ცარიელ ჭერს და კედლებს
შეპყურებდა როსტომი.
ვერ წაართვა თავი სევდას
და უცრემლოდ ტიროდა,
გამოქცევას აპირებდა
ალას საპატიმროდან...
ერთ საღამოს მოწყენილი
დიდხანს ვიდექ სარკმელთან,
მთვარე ჩანდა მლოცველივით,
ირგვლივ ნათელს აკმევდა.
ხმა მომესმა აივნიდან,
ჩურჩულებდნენ ჩუმადა,
შემეშინდა, გამიკვირდა,
გულმა ძგერას უმატა.
გავიხედე აივანზე,
მომეკიდა ხანძარი,
ხელი მტაცეს, გამიტაცეს,
სიტყვაც კი ვერ დავძარი...
როცა თვალი გავახილე,
როცა გამომეღვიძა,
შორიახლო თავდახრილი
თემურ-ალა შევიცან.

თხოვნას რომ არ დავუჯერე,
 რომ არ გავხდი თანახმა,
 გამწყრალსა და გაურჩებულს
 მაშინებდა ხმამალლა:
 — თავს ვერაფრით შემაცოდებ,
 რავინდ ცრემლი დაღვარო,
 ვერ იხილავ ვერასოდეს
 შენს ნაფერებ საქმაროს.
 სხვამ რა იცის შენი ფასი,
 ნუ თრთი, გემუდარები,
 დღეს მოგადგა ბედი კარზე,
 ბედს გაუღე კარები...
 ვუბასუხე ამის შემდეგ,
 თან მითრთოდა ხელები:
 — ჯერ სარკეში ჩაიხედეთ,
 მამად შემეფერებით.
 საქმროს როგორ ვულალატებ,
 ფიცით შემიფიცია,
 თქვენისთანა მუხანათი
 სიძულვილის ღირსია.
 ამ სიტყვებზე თემურ-ალა,
 ბრაზიანი ისედაც,
 განრისხდა და შემომძახა:
 — ამას როგორ მიბედავ.
 გირჩევნია დამიჯერო,
 მომისმინო ალასა,
 არ მომიკედეს თავი ჩემი,
 არ გავიშვებ აღარსად.
 ჩაგაცმევ და დაგახურავ,
 გამოგაწყობ ფარჩებით,
 ბედი გელის არნახული,
 თუკი ჩემთან დარჩები...
 მეტი ველარ ავიტანე,
 წარბი შეგკარ მშვილდივით,
 ვთქვი:

— სიცოცხლეს ამისთანას
მირჩევნია სიკვდილი!
როგორ შევხვდე დამნაშავე
მეზობელს და ნათესავს?!—
და სახეში გავაწანი
სილა მოძალადესა...
ცოფსა ჰყრიდა თემურ-ალა,
შემიკურთხა გამჩენი...
მერე მალე გამონახა
უფრო მკაცრი სასჯელი:
მთელი ხალხი დაიბარა,
არ დასჭირდა ლოდინი,
ხალხს აუწყა:
— არის ზარე
უნამუსო ცოდვილი.
თვითონ იცით დანარჩენი,
მკაცრად გაასამართლეთ,
შეუთანხმეთ განაჩენი
ჩვენს წესებს და ადათებს...
მწყევლიდა და მაგინებდა
თემურ-ალა ბოროტი,
ვქვითინებდი... მაგრამ ბედმა
არ გამწირა ბოლომდი.
სანამ ალა ვერავობდა
თავის ავი ენითა,
ბნელ საკანში ჩემს საქმროსთან
აღას ცოლი შევიდა.
და უამბო დამწუხრებულს,
რაც იცოდა აშკარად,
მერე შეხსნა მარწუხები,
ჩუმად გამოაპარა,
და მოვიდა ჩემთან მალე,
პირაკრული ტილოთი,
ალტაცება ვერ დავმალეთ,
სიხარულით ვტიროდით.

გაქრა მწარე სიმარტოვე,
როგორც მწარე ზღაპარი...
ბოლოს ერთად მივატოვეთ
მშობლიური მთა-ბარი,
გზას თქვენი მზე გვინათებდა,
თქვენთან მოგვიხაროდა,
როგორც დიად სიმართლესთან
და სინათლის წყაროსთან.
უკან დარჩა ჩვენი მხარე
და საავდრო დრუბლები,
დედასავით შევიყვარეთ
მიწა თავისუფლების.

ბ ა ს ო

ალაგიოზის მაღალ მწვერვალებს
გაზაფხულის მზე ეალერსება,
ირგვლივ სინათლის თვალი ეღვარებს,
ხმა დაიწმინდეს ლალმა მერცხლებმა.
ცაა ვარდებით სავსე კალათა,
მიწამ ჩაიკვა მწვანე მაზარა,
ზის დედაბერი თავის კარავთან
და ჰყვება ბასოს თავგადასავალს:
— მახსოვს მძიმე და მწარე დღეები,
როცა ღიმილი ძვირად ფასობდა,
ენატრებოდა ბედნიერების
მზე დამწუხრებულ ახალგაზრდობას.
მშრომელი კაცის ოფლი და სისხლი
ველ-მინდვრებს რწყავდა მდინარესავეით...
მიწას ებრძოდა ღამით და დღისით,
გზა ვერ გაეგნო მაინც ვერსაით.
ბედმა მოლიპულ გზაზე ატარა
და დუშმანივით გაიორგულა...
ალაგიოზის მთებში პატარა
სოფელს ეძახდნენ ძველად ქორბულალს.
იმ ქორბულალში ბასო ცხოვრობდა —
მთელი სოფლის და ხალხის იმედად,
იგი ხედებოდა ბოროტს ბოროტად,
მოძმეს კი ძმურად გაუღიმებდა.
ერთხელ ბასოსაც უმტყუნა ბედმა,
წაართვა მამაცს თავისუფლება,
ქორწინებიდან სამი თვის შემდეგ
ტყვედ წაიყვანეს იგი თურქებმა.
მხოლოდ სამი თვე ცხოვრობდნენ ერთად
ბასო და მისი ლამაზი ცოლი,

ორი ცხოვრება შეიპყრო სევდამ,
ერთგულმა გულმა დაკარგა ტოლი.
ვაჟაკი სწუხდა უცხო მხარეში,
ახსოვდა სახლი, ცოლი და მოძმე,
ქალი მიეცა მძიმე კაეშანს,
ქალს მთვარე ჰყავდა კაეშნის მოწმედ.

*

გავიდა წელი. ერთი წლის შემდეგ
ბასოს ცოლს — აღმასთს ეყოლა ვაჟი,
ვაჟიშვილს მირზა დაარქვა დედამ
და გაიღიმა პირველად მაშინ.
დრო გადიოდა ძალიან ნელა,
წელს მიჰყვებოდა ახალი წელი,
ვაჟაკი თვალში დააკლდა ყველას,
ოჯახს დააკლდა მზრუნველი ხელი.
ისევ დარდობდა ერთგული ცოლი,
ისევ ელოდა ბასოს შორიდან,
ოცჯერ მოვიდა სპეტაკი თოვლი
და გაზაფხულიც ოცჯერ მოვიდა...
არ დამორჩილდა ბასო გარეწართ,
იმედი გულში ჰქონდა პატარა,
ოცი წლის შემდეგ ჩუმად გაექცა
თურქებს და თავი ტყეს შეაფარა.
ის მიდიოდა დღითა და ღამით,
ერთ თვეს იარა შორეულ გზაზე,
არ შეუშინდა წვიმიან ამინდს,
გული მიჰქონდა იმედით სავსე.
მიისწრაფოდა, მიუხაროდა,
მკერდში აქრობდა უქრობ ნაღვერდალს,
შეისვენებდა ზოგჯერ წყაროსთან
და ისევ ნაბიჯს აუჩქარებდა.
როდესაც ნაცნობ სოფელს შეხედა,
მიაბიჯებდა უფრო ამაყად,

ენატრებოდა ცოლთან შეხვედრა
და მშობლიური სახლის დანახვა.

ჩავიდა მზე და უცებ დაბნელდა,
მთებს წააფარეს ნისლის ჩარსავი,
ლამის ჩრდილები დასხდნენ სახლებთან
და აკიაფდა მწუხრის ვარსკვლავი.
უკვე ეძინა დაქანცულ აღმასთს,
მირზას ეძინა აღმასთის გვერდით,
სიზმარში მამას ხედავდა ალბათ
უკანასკნელი ნუგეში დედის.
სიზმარში გრძნობდა დიდ ნეტარებას,
და მალე ჩუმად, სწორედ იმგვარად,
კატა რომ ჩიტებს მიეპარება,
სარკმელში მთვარე შემოიპარა.
ამ დროს, როგორაც ლამის სტუმარი,
ბასო მიადგა საკუთარ ეზოს,
თავის სახლს ირგვლივ შემოუარა
და ყველაფერი აშკარად ეცნო.
დაჰქათქათებდა ველ-მინდვრებს მთვარე,
ძილს მისცემოდა მთელი სოფელი,
არ ხმაურობდა ბაღებში ქარი,
ქროდა ნიავი თავისუფალი.
ბასომ გახედა მიდამოს მღუმარს,
მიდამო იყო მშვიდი და წყნარი,
მერე კიბეზე ავიდა ჩუმად,
ძალიან ფრთხილად შეალო კარი
და დაინახა: აღმასთის გვერდით
მშვიდად ეძინა უცნობ მამაკაცს...
ბასომ დასწყევლა თავისი ბედი,
მერე გასწორდა წელში ამაყად
და გადასწყვიტა შურისძიება,
უმალ შეჰყარა წარბები მკაცრად,

უცებ აღმართა მკლავი ძლიერი
და მირზას ბასრი ხანჯალი ჩასცა.
ამოიკვნესა მირზამ, ანაზღად
შეიპყრო იგი სიკვდილის ელდამ...
გამოიღვიძა ამ დროს აღმასთმა,
წამოიწია ლოგინზე დედა
და დაინახა მძიმე სურათი,
თითქოს უეცრად გაუსკდა მიწა:
თავით ფეხამდე სისხლში ცურავდა
დედის იმედად გაზრდილი მირზა.
აკვირდებოდა სურათს საშინელს,
მოჰგავდა ვერხვის მთრთოლვარე ფოთოლს,
შეხედა ქმარს და იცნო მაშინვე,
და საშინელი კვილი მორთო.
დაწყევლა თავის მზე და გაჩენა,
ბასოს თვალებში ჩახედა ზიზლით:
— წყეული იყოს შენი მარჯვენა,
რომელმაც შვილის დაღვარა სისხლი!..
დარეკა გლოვის მრისხანე ზარმა,
და უცებ მიხვდა ყველაფერს მამა,
მკვდარს დააშტერდა სახეშეცვლილი
და აღრიალდა დაჭრილ მხეცივით.
ეზოში ხალხი მოგროვდა ხელად,
მშობლების ცოდვით იწვოდა ყველა.
ქვითინებდნენ და სტიროდნენ ერთად
გამწარებული მამა და დედა.
გამოეთხოვნენ ნუგეშს საკუთარს,
ეზოში გაჭრეს შვილის საფლავი
და დაიტირეს... ასე დასრულდა
მათი საოცრად მძიმე ამბავი.

ჰეი, ძვირფასო!

აისი მთებზე ვადმოშლის ნათელს,
საყვირების ხმა აღვიძებს ქალაქს.
ჰეი, ძვირფასო, წამოიმართე!
დილის ძილს თავი წაართვი ჩქარა!

თავისუფლების დროშა ფრიალებს,
საგანთიადო ბრწყინავს ნათელი.
ვცლით სიხარულით სავსე ფიალებს,
ბედნიერების გვწვავს ჟრუანტელი.

ლუკმაპურისთვის რომ გვლლიდა ჯაფა,
არ დაბრუნდება იგი დრო, არა.
ჰეი, ძვირფასო, წამოდექ სწრაფად!
დილის ძილს თავი წაართვი ჩქარა!

შრომაში ვინაც არ შეშინდება,
დამსახურებს ქება-დიდებას.
შრომაა მარად კაცის ღირსება,
მით ჩვენი გული ღებნივთ ივსება.

ქმეზო, ქურთეზო!

შავი ღრუბლები გვიბნელებს ცარგვალს,
კმარა მონობა და ზოცვა-ყლეტა.
გვეყოფა, ქმეზო, ამდენი ჩაგვრა,
როდემდე უნდა ვიტანჯოთ ნეტა?!

კმარა ფართაში ცბიერ ტირანთა,
ვერაგულია მათი ზრახვანი.
კმარა ცრემლები ამდენ მტირალთა,
როდემდე ვიქნეთ ქედმონახარი?!

აღსდექ და მტარვალს ლომივით დახვდი,
ბრძოლაში იქნებ დაგდინოს სისხლიც,
დაამხე ვერაგ ტირანის ტახტი,
და გადაბუგე სახლ-კარი მისი.

დაე, მსოფლიომ გაიგოს ეს ხმა,
გზას დაგილოცავთ კეთილი ხალხი.
ვით გაზაფხულის გრგვინვა და მეხი,
ისმოდეს ეს ხმა, მკვეთრი და ლაღი.

ესმოდეს ყველას, ქურთები რისხვით
როგორ ეკვეთნენ ბასისტებს ვერაგს.
ვით მოვაშორეთ სამშობლოს ნისლი
და ავაყვავეთ მშობელი კერა.

მამის რჩევა

ისწავლე შვილო, რამე ხელობა,
არა არის რა იმისი ფასი.
ერიდე ქვეყნად უღარდულობას,
შრომაში არის ცხოვრების აზრი.

ყველა ერის კაცს დახვდი მეგობრად
და გაუწოდე ძმასავით ხელი,
სულის სიმტკიცედ მარად გეყოფა,
ამ სიყვარულის ცეცხლი თუ გშველის.

უმწიფარ ნაყოფს ნუ მოსწყვეტ მხოლოდ,
არკი დაჰხარო ყველას წინ ქედი,
პატიოსნებით თუ ქვეყნად ცხოვრობ,
არ გიღალატებს არასდროს ბედი.

ირწმუნე მხოლოდ, რაც ნახო თავად,
ღმერთმა სიმშვიდის მოგმადლოს ნიჭი.
ღაიმორჩილე შენ შენი თავი,
ფიცხად არ წარსდგა არც ერთი ბიჭი.

არავის ენდო
ქვეყნად ტრაბახს,
მლიქვნელს, შურიანს,
ამგვარ დაბალ ხალხს.

შორს დაიჭირე თავი იმათგან,
ის ვაჟკაცივით თვალს გაგიმართავს

და იტყვის ასე: „ჩემზე ძლიერი
არავინ არის. ვარ ბედნიერი“.

არ გაეკარო ქურდს, მოკამათლეს,
ზარმაცს, უქნარას, ყველა ამათებრს.
სამარცხვინოა ამგვართა ხვედრი.
ღმერთმა გაშოროს იმათი ბედი.

თემური და როსტამი

როგორც ინათა, აქუხდა იმ წამს
ფრონტი და თითქოს ცაც ჩამოიქცა.
კვამლმა და ბოლმა დაფარა მიწა,
გარს ყველაფერი ბინდმა მოიცვა.

ჩვენ გერმანელებს ვეკვეთეთ რისხვით,
ჯარისკაცთა მკერდს ტყვია კაწრავდა.
წითლად აფეთქდა მიწაზე სისხლი
და დიღხანს ფრონტი აღარ დაწყნარდა.

წამოგვეშველა ახალი ძალა,
წინ გავირეკეთ დამფრთხალი მტერი.
მუხლებში ღონე გამოეცალა
და როსტამს მაშინ ეცვალა ფერი.

მან დაინახა ჭრილობა თვისი.
მე ვუთხარ: „როსტამ, გამაგრდი კიდევ,
ქარმა გაჰფანტა ბოლი და ნისლი,
გაგიყვან, ზურგზე წამოგიკიდებ.“

„ო, მეგობარო, ძვირფასო თემურ,
მე ფეხზე დგომა არ ძალმიძს ახლა,
მეტად მძიმეა ჭრილობა ჩემი,
თავბრუ მეხვევა... აქ რატომ დგახარ?“

იჩქარე, ძმაო, ამბის წამლებიც
არავინ დარჩეთ მერე ფაშისტებს.
დაბუგეთ მათი ბაირაღები,
გაეუფეთ, მედგრად დასცხეთ, გაელიტეთ.“

წ უ ა რ ო

შენა ხარ წყარო ჩვენი სიმდიდრის,
ჩვენ შენით ვცხოვრობთ ხალისით, ლაღად.
შენ ააყვავე ვრცელი მინდვრები,
უღაბნოები აქციე ბაღად.

პურის ყანები ზღვად ბიბინებენ,
ელვარებს ბამბის პლანტაციები.
ტრაქტორების და კომბაინების
გუგუნს უფროსიან ლურჯი იები.

კოლმეურნენი ველზე გაშლილან,
შრომის ჰანგებში რეკავს ფოლადი.
ბედლები ახალ ხორბლით ავსილა,
წელსაც საესე ვართ მზით და დოვლათით.

ველებზე შრომის ჰიმნი გაისმის,
სოცშეჯიბრების გაღალღი ქარო!
კოლექტივია წყარო ხალისის,
კოლექტივია სიმდიდრის წყარო.

არ ჩამორჩება ქალაქს სოფელი,
შენდება ბევრი სახლი ახალი.
ღამით ელექტრო-შუქით მოფენილს
გლეხი მშობლიურ კუთხეს დაჰნარის.

ს ა ბ ზ ო ე ბ ი

საუკუნეთა ქრიან ქარები.
თუმც სახელმწიფო იყო მრავალი, —
საბჭოთა ქვეყნის შესადარები
არსად არ იყო, არსად არ არის.

მის კანონს შუქი არ გაუქრება —
დაუძმობილდნენ ერთურთს ერები.
ყველას აქვს ლალი შრომის უფლება,
უფლება კაცურ ბედნიერების.

წელში გასწორდნენ ჩვენი ქალები,
ძველად მონები დუხჭირ ცხოვრების,
მზეს შეჰხარიან ელვარ თვალებით,
მამაკაცების თანასწორები.

და თხუთმეტი ძმა დიდი ოჯახის
დგას შეურყევლად დედამიწაზე.
მუშის და გლეხის ხმატკბილ მოძახილს
მშვიდობის ქარი მალლა იტაცებს.

ორი ბედი

საბრალო მამამ აიღო
ხელში არგანი თავისი,
გარეთ გავიდა და სოფელს
გაჰხედა სიდარბაისლით.

ალარ გაისმის სოფელში
მწარე კვნესა და გოდება.
ბედნიერ დღეებს შეჰხარის,
ხან ძველიც მოაგონდება:

— ჩვენ გვქონდა მძიმე ცხოვრება
გაგვხადეს მართლაც მონებად.
სულ ტირანებმა წაგვართვეს,
რაც რამ გაგვაჩნდა ქონება.

ხელკეტებს გვცემდნენ და ზურგზე
ჭრილობებს სისხლი ფარავდა.
ტყავს ერთიორად გვაძრობდნენ,
ჩაგრულთ ვინ დაგვიფარავდა!

ყოველდღე რბევა გვქანცავდა,
უბედურება გვლალავდა.
წამით სული ვერ მოვითქვით,
ოფლი გვდიოდა ღვარადა.

აგვიწიოკდა სახლ-კარი,
ომებმა გაგვაჩანაგა.
ვიხოცებოდით შიმშილით,
არავინ გვთვლიდა ჩალადაც.

ბაბუა მაინც ამბობდა:
„რამდენიც უნდა გვარბიონ,
ბოლოს ამოვა ჩვენი მზეც,
იხარებს ხალხი მდაბიო“.

და მოთმინებით ელოდა
ბაბუა იმ დღეს სანატრელს.
ველარ მოესწრო... იგი მზე
დღეს მხოლოდ ჩვენთვის ანათებს.

აღზევდა ხალხი ჩაგრული,
ბრძოლის სიმღერა დასძახეს,
შეირყა მეფის ტახტი და
დაიქცა მთელი სასახლე.

და მზე აიჭრა ზენიტზე,
სოფელს დაჰხედა ლაღადა.
დიდი ოქტომბრის ნათელში
მერე სულ აღარ დაღამდა.

ბედნიერებამ ძლიერი
ფრთა მოიქნია, რომელიც
ქვეყანას გასწვდა, და წელში
გასწორდა ხალხი მშრომელი.

მამას ჭაღარა გაუთბა,
ოქტომბრის შუქში გაბრწყინდა.
შვილი მოიხმო და მისგან
ეს მოისმინა ყმაწვილმა.

— შვილო, ოქტომბრის ნათელში
აყვავდა ჩვენი სოფელიც.
მშრომელი ხალხი ზეიმობს,
მზე გვათბობს ჩაუქრობელი.

ქურთის ცხოვრებაც გალაღდა,
დღეები გვიდგას სალხენი.

ჩვენს სოფელშიაც აშენდა
სახლები და სასახლენი.

— მამა, შენ მართალს ლაღებ,
ყოველთვის გიყვარს სიმართლე.
ქურთთა სოფელიც აყვავდა,
ჩვენც მზეში წამოვიმართეთ.

ამღერდა ხალხი ჩაგრული,
არ კლავთ დარდი და ნაღველი.
მთელ ქვეყანაზე გაისმის
მშრომელი კაცის სახელი.

ბედი ჟურთისტანისა

ერთ გაზაფხულზე, როდესაც
ქურთმა გამართა გუთანი,
ულრუბლო ცის ქვეშ ბრწყინავდნენ
ველები ნასათუთარი;
ვერაგმა შაჰ-ისმაილმა
ჩუმად შეკრიბა ჯარები,
ქურთებს ქურდულად დაეცა,
ლამით უმტვრია კარები.
ქურთისტანს ტალღად გადევლო
განგაშის ხმები მრისხანე,
ბრძოლის და შურისძიების
ცეცხლად დაენტო ის ღამე.
ქურთნი ფარ-შუბის ჩხარუნით
მომხვედურს ეკვეთენ გმირულად,
ავარდნილ კორიანტელში
დილამ თვალები მილულა.
ბევრი დუშმანი აჩეხეს,
დღე დაუბნელეს გლოვითა,
მხოლოდ ნაწილი მტრის ჯარის
დიარბეჭირთან მოვიდა.
ქალაქის ზემო ნაწილში
შეჩერდნენ, დასცეს კარავი,
ირგვლივ ისმოდა დაჭრილთა
ყვირილი გულშემზარავი.
მეორე დილა გათენდა,
ისევ გაჩაღდა ბრძოლები,
ცა დაიფარა ღრუბლებით,
და დადგა სისხლის მორევი.
სპარსელთა სარდალს ყარახანს

გადაეწურა იმედი,
ალყაშემორტყმულს, დაღეწილს
ჯარი შემორჩა მცირედი.
ათრთოლდა როგორც ფოთოლი,
(აქვს ვერავს ლაჩრის ბუნებაც),
და ტყვედ ჩავარდნას არჩია
გაქცევა, შინ დაბრუნება.

...ტახტზე ზის შაჰი ამაყად,
გასცქერს კარს ფირუზ-ლალიანს,
კეთილ მაცნეთა ლოდინში
დინჯად ეწევა ყალიონს.
უცებ სასახლის კარებში
რეკს კარისმცველთა ძახილი,
დარბაზის ზღურბლზე გამოჩნდა
ყარახან, წელში წახრილი.
ფერხთ ჩაუვარდა შაჰინშაჰს,
ცრემლით აევსო თვალები.
— რა მოუვიდათ, სად მყენან
ჩემი მამაცი ჯარები?
— მზეო, ვიცი, არ გამწირავს
ეგ შენი გული მეფური...
დიდხანს გაგრძელდა ბრძოლები,
სასტიკი, ჯოჯოხეთური.
ღიარბეჭირშიც მივედით,
ლომებრ იბრძოდნენ ჩვენები,
ბევრს დაულამდა სიცოცხლე
შენი სახელის ხსენებით.
ალყადარტყმულებს, შემუსვრილთ
ალარ შეგვეძლო ლოდინი,
თავი ძლივს გამოვალწიე,
მზეო, დამშანთე ცოდვილი...
შაჰი ბოღმისგან აენტო,
რისხვით შემოჰკრა ხელი ხელს,
ვეზირნი შიშით ათრთოლდნენ
და ლერწმებივით შეირხნენ.

შაჰმა ბრძანა და ქვეყანას
მოედგნენ მალემსრბოლები, —
ომს ვუცხადებთო ქურთისტანს,
მოგველის ცხარე ბრძოლები.
შაჰმა ბრძანა და უმალვე
მისი სასტიკი ბრძანებით
შაჰის სასახლეს მოადგნენ
ყველა სახანოს ჯარები.
შაჰმა თავისთან მიუხმო
ხანებს, შიშისგან მღიმართა,
და ვითაც გაღიმებულმა
შეკრებულ ჯარებს მიმართა:
„ხანძარს მიეცით ქურთები,
ჩემო მამაცო რაინდო,
ძირფესვიანად მოთხარეთ,
ბავშვებიც კი არ დაინდოთ!“
ჯარს წინ ჩაუდგა ყარახან,
შაჰს დაჩოქილმა შეჰფიცა:
„ისე შუემუნსრავ ქურთისტანს,
მისგან არ დარჩეს ფერფლიცა“.
შაჰმა ჯარს დაულოცა გზა,
ძალა ხმლისა და აბჯარის
და მტვრიან გზებზე ნიაღვრად
დაიძრა სპარსთა ლაშქარი.
ქურთისტანს ისევ მოედო
ვანგაშის ხმები მრისხანე,
ბრძოლის და შურისძიების
ხანძრად აინთო ის ღამე.
ქუღზე კაციო, — ზღვასავით
ქვეყანა აღსდგა, აღელდა,
ცეცხლმა დაბურა ვარსკვლავი,
მზე თვალებს სისხლში ახელდა.
ომი წელიწადს გაგრძელდა,
სისხლმა დააღბო ველებიც,

მტრის თავზე შიშის ზარს სცემდნენ
მშობელი ქვეყნის მცველები.
კვლავ ახალ ჯარებს გზავნიდა
შაპი — ვერავი, ბოროტი,
მაგრამ ბოლო კი არ უჩნდა
მის გამარჯვების მოლოდინს.
მრავალი ქურთი დაეცა
ღიარბეჭირის კარებთან,
მაგრამ მშობელი ქვეყნის გულს
მტრის მახვილს არ აკარებდა.
ერთ დღეს ყარახანს პირისპირ
შეხვდა ბელადი ქურთების,
როგორც ფოლადის ჯაჭვები
ორთავ დაჭიმეს კუნთები.
ღიდხანს იბრძოდნენ და ბოლოს
დაჰკრა ქურთების ბელადმა,
ცხენს დაეკიდა ყარახან,
ადგომა სცადა, ვერ ადგა.
ქურთებმა ბელადს შესძახეს:
— მამე სევდანო, იდიდე! —
და შეესივნენ მტრის რიგებს
თითქოს ხმლით ყანას იმკიდნენ.
უმწყემსო ცხვრისებრ განიბნა
უმეთაურო მტრის ჯარი,
მტერი გარბოდა, უღრუბლო
იბადრებოდა ცისკარი,
თავი კი ყარახანისა
ველზე გორავდა ბურთივით.
ქვეყანას უმაღ მოედო
ეს გამარჯვება ქურთების.

მაგრამ მისდევდა წელი წელს,
ომი — ომს, მტერი მძლავრობდა,
ქურთების სოფელ-ქალაქებს
სიკვდილი თანამგზავრობდა.

სულთანები და შაჰები
ქუთ ხალხსა მტრობდნენ ოდითგან.
სისხლი ბრძოლებში დაღვრილი
სავსე ზღვასავით მოდიდდა.
შემუსრეს ქუთთა ციხენი,
აყვავებული მთა-ბარი,
ოთხას ორმოცდაათი წლის
წინ მოხდა მძიმე ამბავი. —
სულთანებმა და შაჰებმა
გაიყვეს ქუთთა მამული,
უამრავ ბრძოლანანახი,
ტანჯული, სისხლდანამული.
კლდესაც კი აატირებდა
ცრემლი ქვრივთა და ქალწულთა,
ხალხის ტანჯვა და წამება
ვერ იქნა ველარ დასრულდა.
მოსპობის შიშით, მუქარით,
მოტყუებით თუ ომებით
მშობელ მიწიდან აყარეს
ქუთების ბევრი ტომები.
მიწას წაართვეს სიმწვანე,
ზეცა შემოსეს თალხისფრად,
მაგრამ ვერ ჩაკლეს ამაყი,
უტეხი სული ხალხისა.
ისევ უელავთ თვალები
ვით ხმლები ალესილები,
სიცოცხლისათვის იბრძვიან
მისი მამაცი შვილები.

სამუოგლო

ჩემი წინაპრის ნიჭი თუ ჯანი
 ეს დილის მზე თუ შუადღის ჩერო,
 სიმღერა შენი მთისა თუ ბარის —
 სულ სხვა რამ არის, მამულო ჩემო.

კარგია სახლი, ეზო თუ ქუჩა,
 სადაც ბავშვობას გავუგე გემო,
 მაგრამ ეგ მიწა სულ ერთი მუჭა
 სულ სხვა რამ არის, მამულო ჩემო.

შენ როცა გიჭირს — მეც მიჭირს მაშინ,
 შენ როცა გილხინს — მეც შენს ლხინს ვჩემობ,
 მაგრამ ამქვეყნად მშვიდობის ფასი
 არაფერია, მამულო ჩემო.

მართველი ქალი

შენ ხარ ირემი მათთა მალალთა,
რა სიტყვა გითხრა შესამკობელი,
დე დაილოცოს ვინც შენ დაგბადა —
შენი ლამაზი მიწა მშობელი.

მართალი რომ ვთქვა, მე მშურს კიდევაც,
მშურს მისი, ვისაც ბედი რგებია —
და შენი გული სიტბოს პირდება,
და შენი სული შეერთებია.

მშურს მისი, ვისაც თეთრი ხელებით
უსწორებ ბალიშს, ახურავ, უვლი...
ვისაც უღიმი და ეფერები
ვისი ტრფობითაც საესე გაქვს გული.

ვისაც მიანდე მკერდი ფიქალი
და თმა დაწნული სათის ფერებად, —
აი, ნამდვილად მართლაც იქ არის
სიყვარულიც და ბედნიერებაც.

მე დამატყვევეს შენმა თვალებმა
და თან წაიღეს ძილი, სიმშვიდე,
მე შენთვის თავი არ მენანება,
მე შენთვის სული ეშმაკს მივყიდე.

მე მუნჯი გავხდი შენით, არა და
ან კი რა გითხრა შესამკობელი.
დე დაილოცოს, ვინც შენ დაგბადა
შენი ლამაზი მიწა მშობელი.

ლენინური კომკავშირი

მოუსვენარი ღღისით თუ ლამით,
შენ მტკიცედ იპყრობ ყველა მწვერვალებს,
ეს შენ მიეცი სიცოცხლე ყამირს,
და მთებიც სხვაფრად ააელვარე.

ლენინის სახელს, ლენინის ანდერძს,
თვალისჩინივით უვლი და იცავ.
რა სასახელო საქმენი განდეს, —
შენით ამაყობს მშობელი მიწა.

მძიმე დღეებში, როცა ვერაგი
სულთამხუთავი ადგა ქვეყანას, —
შენც გეცვა ტანზე ჯაჭვის პერანგი,
რათა გვეცოცხლა და გაგვეხარა.

ვწრომობთ თუ ვიბრძვით, შენა ხარ, რაც ხარ, —
შენი სისხლია, შენი ოფლია...
არ შეიძლება, არა თქვას კაცმა —
შენმა გმირობამ შეძრა მსოფლიო.

შენ შენი შრომით, ხელის ბარაქით
გადაგვაფიწყე ომის ნაღველი.
ნანგრევებიდან აღსდგნენ ქალაქნი,
და იქ ისმოდა შენი სახელი.

და შენ ამაყად ატარებ ახლა,
ბელადის სახელს დიდსა და ნათელს,

შენ, ვინც არ იცი, რა არის დაღლა,
შენ, ვისაც დიდი საქმენი განდეს.

უბერებელო, ცეცხლად გიზგიზებ,
შენი ჩაუქი ცეცხლი ანთია.

წინ მიგვიძღვება კომუნიზმისკენ
მედროშე, მამა — ბრძენი პარტია.

ლენინის პარტია

იჩაგრებოდნენ მიწის შვილები,
იყო ჩაგვრა და იყო წვალება.
ამცირებდნენ და აშიმშილებდნენ, —
ტანჯავდნენ ხალხებს შეუბრალებლად.

მაგრამ მათ გულშიც ცეცხლმა იელვა,
ხალხმა ბორკილი ფეხით გასრისა.
და დაიქუხა ასე ძლიერად
ამ ერთიანმა ხმამ სიმართლისამ.

და მათი შემწე, მზედ რომ ანთია,
იყო ლენინის ბრძენი პარტია.

მათ საკუთარი გეგმა დასახეს,
იბრძოდნენ მტკიცედ, თავგამეტებით,
შეაზანზარეს ზამთრის სასახლე
და მოუნგრის ცივი სვეტები.

გაანადგურეს ტახტი ბნელეთის,
რომ აჩლუნგებდა კაცის გონებას,
და მზემ გაათბო ცა და ხმელეთი,
და გაიმარჯვეს მილიონებმა.

მათ წინამძღოლი არ უნატრიათ, —
წინ მიუძღოდათ ბრძენი პარტია.

წავიდა ის დრო ჩაგვრის, წვალების
და მთელი ჩვენი სიგრძე-სიგანით
დღეს თავისუფლად დავიარებით,
დღეს ჩვენ კოსმოსიც კი დავიპყართ.

ავაგეთ ჰესი, გავჭერთ არხი,
ჩვენმა მარჯვენამ სად არ იელვა.
ყველა, ყველა და... მარტო ის რად ღირს,
რომ ვსუნთქავთ მხნედ და ასე ძლიერად.

და თუ ცხოვრება ასე კარგია, —
წინ მიგვიძღვება ბრძენი პარტია.

გვაქვს ჩვენი რწმენა, ჩვენი მიზანი,
ძმობა, სიმართლე სულში გიზგიზებს.
ერთად შევკრულვართ და მივიჩქარით
კომუნიზმისკენ, კომუნიზმისკენ.

ჩვენს გზაზე მზეა და სინათლეა,
რადგან წინ გვიძღვის ბრძენი პარტია.

ჯივიტეზი

მიწას არყევდა გრგვინვა ქორწილის,
ცას აყრუებდა ზურნა და დოლი...
ქურთნი ხელიხელგადაჭდობილნი,
ემსზე მოსულნი როკავდნენ თრთოლვით.

ლაჩის მოტივზე უკრავდა ზურნა,
შაბაშ! — ღრიალით სჭექქდა მედოლე
და წინ და უკან

უვლიდა ბუქნას,
ნეფე-დედოფალს ასე ელოდნენ...

მაგრამ უეცრად შეწყდა ფერხული,
როს მაყრიონი გამოჩნდა ახლოს,
ადგა ბანაკი ცეცხლჩახვეული:
პატარძლის ბალიშს ვინ სწვდება ვნახოთ.

ძლივს იკაეებდნენ ცხენებს მხედრები,
აღელვებულნი ელოდნენ ნიშანს.
აი, ნიშანიც, მოსწყდნენ ცხენები,
ფლოქვებით ცეცხლი დაანთეს ქვიშას.

დაწინაურდა სამი მხედარი,
თითქოს შეისხეს ფრთები არწივის.
ჰა, თავგანწირვაც მართლა ეს არის,
ველზე მტვრიანი ქარი გასწივის.

სამ მხედართაგან ჯივიტი ერთი,
პატარძლის ბალიშს რომ მისწვდა ისრით,
წინ გამოიჭრა და ფართო მკერდი
თითქოს სხვა ჯივიტს აევსო რისხვით.

მიჰქრის და მისდევს მხედარს მხედარი
და ბალიშსა სთხოვს ჯირითის წესით.
მაგრამ პირველი ისევ მხნედ არის,
ალბათ მეორის თხოვნა არც ესმის.

და რა დარწმუნდა, დრო აღარ არის,
ბალიშის ნაცვლად მოსტაცა ქული,
და ბანაკისკენ მან როგორც ქარი
მიუშვა ცხენი და მიჰყვა გუნდი.

ჯიგიტმა ჯიგიტს გადუსწრო წამით,
ბანაკთან მკვირცხლად მიაგდო ცხენი.
ქალიშვილთ სუნთქვა შეკროდათ ლამის,
ალიხანს პირზე ეკიდა ცეცხლი.

ბედი ჰქონია თურქთა ნაშიერს,
მას გამარჯვების ნიშნად ბაღდადი
ყელს მოახვია ტურფა აიშემ.
განა ასეთ წყვილს სხვას ბევრს ნახავდით?!

ამ დროს პატარძალს ახალგაზრდები
მხიარულ ცეკვით ეგებებოდნენ.
ისმოდა ჰანგი სულის აღმგზნები
და ჯიგიტები ეშხით თვრებოდნენ.

და პატარძალი რომ წაიყვანეს,
ისევ ჩააბეს ფერხული თრთოლვით.
ჯიგიტთა ღვინით ჯავრი იყარეს,
დასცხეს, გასწირეს ზურნა და დოლი...

ქურთთა სოფელში გავარდა მეხად —
მტერმა უშქარი ცხვარი გარეკა.
გადაუძახა მხედარმა მხედარს,
თამა ბრძოლისამ, დაჰკრა, დარეკა.

ომში გაწვრთნილმა ქურთთა ცხენებმა
სასტიკი ბრძოლის იუნოსეს სუნი.
ველარ გაასწრეს თავდამსხმელებმა,
იცილებოდნენ მკერდასისხლულნი.

გარს შემოერთყნენ ფოლადის ზღუდედ,
პირისპირ შეხედნენ მომხდურთ ქურთები.
დაჭრილთა გმინვა წვდებოდა ღრუბლებს,
ჩეხდნენ ხმლებით და ლეწუნენ შუბებით.

ჰკვეთდა მოხუცი და ახალგაზრდა,
ომში თამაშად უჩნდათ სიცოცხლე.
დათარეშობდნენ მტრის გუნდში მარდად,
სიკვდილის შიში მათ არ იცოდნენ...

ყვირილი, მსხვრევა და კენესა მარტო,
ისრუტავს მიწა სისხლს ძირს დანთხეულს.
ცხენი ჭიხვინით დაეძებს პატრონს
და ფეხით თელავს დაჭრილთა სხეულს.

აი, მხედრებმა იგრძნეს მტრის გუნდში:
სიკვდილს თან მიაქვს სულის მხნეობაც.
და გატანჯულნი ნატრობენ გულში
შეწევნას... წყალს და... მხოლოდ შენდობას...

მაგრამ მამაცმა ქურთთა მხედრობამ
ვერ შეამჩნია მტერთა სიმრავლე.
თვითაც იგემეს მათ ავბედობა,
სიცოცხლე უღვთოდ გაიტიალეს...

აი, დაეცა მიწაზე ქურთი,
მოხრილმა ხმალმა გული გაუპო.
მის გვერდით მომხდურს ამოდის სული,
მისი ჯილაგი ღმერთმა დაღუპოს.

ველარ იჭერენ იარაღს ხელში,
და ცხენთაც უჭირთ მხედართ ტარება.
სიცხით დაქანცულთ წაერთვათ ეშხი,
ამდგარი ბული ველს ეფარება.

შეიტყვეს სოფლად სიმრავლე მტერთა:
ქურთთა მხედარიც ბევრი დაეცა.
დაიწყეს გლოვა და ფრქვევა ცრემლთა,
ევედრებოდნენ მზესა და ზეცას.

და გამოეყო ქალთა ჯგუფს ვარდა,
მას თავის პირმშო ეჭირა ხელში.
ხალხს შეუტია: — ასე არ ვარგა,
ნუ ანთხევთ ცრემლებს და ნულარ ხენეშით.

წავიდეთ დებო, ქურთთა საშველად,
ახლა არ არის დრო მწუხარების.
ღიაცნო, მანდილს ნულარ დაცრემლავთ,
ჩვენც თავს დავატყდეთ მტერს მქუხარებით.

იქ ჩვენი ქმრების იღვრება სისხლი,
იქ ჩვენი ძმები იბრძვიან მედგრად.
ჩავიცვათ ჩოხა, მტერს შევხედეთ რისხვით,
თავს დავაყაროთ ტყვიების დელგმა.

არ დააყოვნეს არც ერთი წამი,
ქურთთა ქალებმაც გასწირეს თავი.
მიჰქრიან, უხმობთ მათ ბრძოლის ეამი
და მიაქვთ ძალა მომსკდარი ზვავის...

მეორეკება ცხენს ფიცხად ვარდა,
სადაც ბრძოლა დუღს, იქ არის იგიც.
აღარა ახსოვს, არა ადარდებს,
თუმცა სიკვდილი ტრიალებს ირგვლივ.

გასტეხეს მტერი, გაჟლიტეს ყველა
ცოცხალი დარჩა, ვინც იქ არ იყო.
ერთი დასტოვეს მტერთაგან მძევლად,
ქურთთა გმირობა რომ თან წაიღოს.

სწორედ ერთილა გაუშვეს მარტო,
რომ ამგვარ ზრახვებს ზღვარი დაედოს.
ქურთთა ფარებზე თავდასხმა სამტროდ
რომ ვერასოდეს ველარ გაბედონ...

ალაგიოზი

შენ ხარ მალალი და მშვენიერი,
თავზე გადგია ღრუბელთა წყება.
და შენს კალთებზე ზანტი იერთო,
ალაგიოზო, ნისლები წვება.

განა სულ ერთი არ არის შენთვის
ზამთარია თუ სიცხე ზაფხულის.
შენს თავზე ნათელს ნათელი ერთვის
და ქარიშხალი დაძრწის ზღაპრული.

ალარ ისვენებს ქარი კაპასი,
როგორც ნადირი ღმუის და გიმზერს.
ხევებში ზვაეი წვება ათასი,
წივის ნამქერი უფსკრულის ქიმზე...

მაგრამ დარეკავს დრო გაზაფხულის
და გაუკრთებათ ძილი ქალაქებს.
გამობრწყინდება მზე არნახული,
ცა იის ფერებს გადმოალაგებს.

გაშლილ ტრამალებს დასტოვებს თოვლი,
მთებს გაუჩნდება ეშხი უცვლელი.
ლბილ მიწას ფარავს ხასხასა მოლი,
და სივრცეს ეღენთავს ყვავილთ სურნელი.

მთიდან მორბიან ნაკადულები
და ალარ წვევეტენ ჩიტნი გალობას.
მწვანე ბალებში ჩაკარგულები
ჰანგებს აფრქვევენ როგორც წყალობას...

კოლმეურნეთა დგანან ფერმები,
აღარც კი უჩანს თეთრ კარვებს ბოლო.
გზებზე მტვრიანი ყვითელ ფერებით
მოედინება ცხვრის ფარა მხოლოდ....

კრავთა პეტელი მოედო სივრცეს
წაულეკია მინდვრები მზის სხივს.
ფარებს მოსდევენ მწყემსები ისევ
და მწველავები აფრქვევენ ღიმილს.

აი, ლამაზი ქურთის ასული
ასე რომ შვენის წითელი კაბა
შეუდგა წველას ფიქრში წასული
და ნეტარებით შავ თვალებს ნაბავს.

აჰა, ჩამოჯდა ხის როფზე იგი,
დიდ კასრებში კი რძე მოქაფქაფებს,
თითქო ყველაფერს მზე ბუგავს ირგვლივ,
მაგრამ ჩეროს თავს არეინ აფარებს.

იქვე მის გვერდით დგას სომხის ქალი
და აბრიალებს თვალებს ფარულად,
თათრის ასულს კი წვავს ტრფობის ალი,
მესამე სიტყვას უქცევს ქართულად.

შრომა გვანიჭებს ლამაზ ცხოვრებას,
სიცოცხლეს მხოლოდ შრომით ვიფერებთ.
ჩვენ ერთა ძმობა გვემახსოვრება,
ჩვენ კომუნიზმის ვეტრფით მზის ფერებს.

დაე, სხვადასხვა ჩვენ გვქონდეს ენა,
გზას გვინათებდეს მხოლოდ ერთი მზე.
ეს სიხარული და აღმაფრენა
გვემდეროს მუდამ ხალხის ზეიმზე...

მკვეხარა

უძლეველ მხედარს ჰგავს სიყვარული,
ვინ არის მას რომ არ დაემონოს?
შემოგენტება ცეცხლი ფარული,
ვერ გაძლებ სატრფოს არ დაელოდო!..

მაგრამ ერთ ჭაბუკს ეს არ სჯეროდა,
ამბობდა: ჩემს გულს ვერვინ დაიპყრობს.
და ხალხში მუდამ რიხით მღეროდა:
მე სიყვარული გულს ვერ გამიპობს...

ასე ამბობდა ჭაბუკი ერთი
და არ იშლიდა ამაყი კვეხნას.
არ განეცადა ცრემლებით მეტი
ჯერ სიყვარულის აღმური ქვეყნად...

გაზაფხულია, ჰყვავის ბუნება,
ლორთქო ფოთლებმა ჩრდილი გაშალეს.
მზე ნაზ ყვავილებს ესალბუნება
და ფერთა ბრწყინვა თითქო გჭრის თვალებს.

მოჩხრიალებენ ნაკადულები,
მიწას სისხლავენ ოქროს სხივები.
ბალახზე ჰყრია ლალი უღევი
და მგალობელთა ჰანგით ივსები.

აი, ჩამორბის ფერდობზე იგი,
უნდა მოიკლას ვაჟმა წყურვილი.
წყაროს ქალწულნი ეხვივნენ ირგვლივ,
თეთრ ყვავილებით შემობურვილნი.

ის დააცქერდა ლამაზ ასულებს,
ერთ მათგანს წყალი შესთხოვა ჭიქით.
მის ლამაზ თვალებს როგორ გაუძღვებს,
შეფაკულს ველურ ყვავილთა ფიფქით.

წითელ ტუჩებზე ღიმი უკრთოდა
და უბრწყინავდა შავი თვალები.
სხეული მეტი ვნებით უთრთოდა,
სიყვარულს სადღა დაემალები!

როგორც ირემი ისრით დაჭრილი,
მყისვე ჭაბუკი შეკრთა, გაქვავდა.
აღარ სწყუროდა....

უცხო წადილი

მას სიყვარულის

ცეცხლით დაგავდა. .

სადღაა ახლა ტრაბახი მისი,
სადღაა მისი ამაყი სული,
ის დაატყვევეს ამურის ისრით,
მისი მეუფე გახდა ასული...

მ ე გ ო ბ რ ო ბ ა

თუმც წავიდნენ წლები,
 დიდი მოწიწებით,
 შენ გიგონებ ახლაც.
 ყველგან, სადაც წაველ,
 მაგ თვალთა შუქს ვეძებ,
 შენ გიგონებ მარად
 შენი მოიმედე.
 დარდს ბოლო არ უჩანს,
 გაგვიფრინდა დრონი,
 მახსოვს ქუჩა-ქუჩა,
 დავდიოდით ორნი.
 შეეხაროდით, კარგო,
 ერთმანეთის სიცილს,
 მე კვლავ ისევ მახსოვს
 მაშინდელი ფიცი.
 შენი ყველა სიტყვა
 გულში ჩამებეჭდა,
 მაინც ვერ გამტეხა
 დრომ და შევბნელ ეჭვმა,
 დავივიწყებ ან ვით
 ლამესავით შავ თმებს,
 შენი გულისათვის
 ყველაფერი დავთმე.
 მახსოვს ერთ საღამოს,
 სიტყვა ძლივს დასძარი.

და შენი ხმა ამო
რეკდა, როგორც ზარი.
ცას კვლავ ღიმი შევენის,
მიწას — მწვანე ფარჩა,
გული ისევ შენი
მოიმედე დარჩა.

შოთა რუსთაველს

დიდო პოეტო, მე თუმც არ ვარ, შენი მნახველი,
კიდით კიდემდე დამქუხარებს შენი სახელი,
სამარადღამო უკვდავების შუქი გგენია,
ქვეყნად არადროს არ ჩაქრება შენი გენია.

მე შენს წინაშე მოწიწებით მუხლს ვიყრი შოთა,
ვისაც დაუნის და უკვდავების გვირგვინი გმოსავს,
ბედნიერი ვარ, შენს ნათელ წიგნს ვკითხულობ როცა,
შენს დაბადების ვარსკვლავსა და მარჯვენას ვლოცავ.

შენს მზიან თვალებს, ვერ ვიხილავ ქვეყნად ვერადროს,
შენი აჩრდილი ერთხელაც რომ წამოგველანდოს,
ბედნიერება ქვეყანაზე მართლა თუ არი,
შენ იქნებოდი მამალმერთის მჯობი სტუმარი.

დიდო პოეტო, მე თუმც არ ვარ შენი მნახველი,
მიწიდან ცამდე ატყორცნილა შენი სახელი,
მე წიგნის კითხვამ ქვეყანაზე რაც კი რამ მომცა,
ყველა სიკეთეს მე ვაკუთვნებ „ვეფხისტყაოსანს“.

რვაასი წელი მწედ ვდექი მეზრეს თუ ლტოლვილს.
ქვეყნად არავინ მეგულება მე შენი ტოლი,
ჭირშიც და ლხინშიც ყველგან გვქონდა შენი იმედი,
შენს გმირთა ტკივილს, ჩვენს ტკივილად ვინაწილებდით.

მე შენს წინაშე მოწიწებით მუხლს ვიყრი შოთა,
ვისაც ამ ქვეყნად უკვდავების დიდება გმოსავს,
როცა ვიპოვით, დიდო შოთა, შენს წმინდა საფლავს,
მკერდზე დაგაყრით მთელი ქვეყნის ვარდებს და დაუნას.

შენი მჯობია რუსთაველო ქვეყნად რომელი,
შენით გვინთია გულს ლამპარი ჩაუქრობელი,
ქვეყნად ყველაფერს დაუნდობი წლები მუსრავენ,
მაგრამ ვერაფერს ვერ დააკლებს წლები რუსთაველს.

წაუკითხია ქვეყნად ვისაც შენი პოემა,
ყველა შენს წიგნში უკვდავების წყაროს ჰპოვებდა.
შენს მზიან თვალებს ვერ ვიხილავ ქვეყნად ვერასდროს
ნეტავი ერთხელ სიზმრად მაინც წამომელანდოს.

დიდო პოეტო, მე თუმც არ ვარ, შენი მნახველი,
კიდით კიდემდე დამქუხარებს შენი სახელი.
სამარადქამოდ უკვდავების შუქი გფენია,
ქვეყნად არადროს არ ჩაქრება შენი გენია.

ადამიანი —
 წელთაღრიცხვა ახალი დროის,
 ადამიანი —
 ოკეანე თვალუწვდენელი!
 ადამიანი —
 სიმღერა და დიდება შრომის,
 წინსვლის, სიკეთის და სიცოცხლისა
 მამა — ლენინი.

არ უწერია მას სიბერე
 სიკეთის გზაზე.
 დაურწვევია დიად რუსეთს
 მისი აკვანი!
 გაჩენის დღიდან ძმობის სარწყულს
 იმედით ავსებს,
 და სამუდამო გაზაფხულის
 მზის სიანკარით!

ადამიანი —
 ისტორია მარად ახალი!
 სიბრძნის, სინათლის ლოზუნგი და
 ჭეშმარიტება!
 მასზე სიმღერას
 არასოდეს არ დავახანებ,
 მისი გულის მზე
 არც არასდროს დაიშრიტება!

წელგამართული ხვდება ქურთიცი
 თავის მომავალს,
 მადლობის ხმები
 აულიდან აულებს არხვეს.

უსიყვარულოდ,
უღიმილოდ, აუთრთოლებლად
მშრომელი კაცი
ვერ წარმოსთქვამს ილიჩის სახელს!

ადამიანი — მზის გულით და
კეთილი მზერით,
ხალხის სინდისი —
ხალხის ნებით გამოვლენილი
მებრძოლი,
მუშა,
პროლეტარი,
ბელადი ბრძენი
იყო,
არის და
კვლავ იქნება
მამა ლენინი!

არაქსის გაღმა

არაქსის გაღმა
გუთნისდელა მიაზღვევს ყამირს.
ალიონია,
ხარის რქებზე თრთის დილის ნამი.
სახრით აფხიზლებს
ფერდებჩაყრილ დავარდნილ ხარებს
და ნაჯადარი გუთნისდელა
ძლივს მიხანხალებს;
აწვება გუთანს,
მაგრამ ძალა აღარა ყოფნის
ჩითის პერანგზე მარილივით
ახმება ოფლი.
ამ ოფლით თურქი მებატონე
ჯიბეს ისქელებს...
ხოლო გლეხი კი
შუადლითაც ვერ შეისვენებს,
თავს არ იზოგავს,
სამხრობამდე ვერ წაიხმსებს...

ჩუ! ეს რა მესმის?
დგება ქურთი ფეხისწვერებზე.
სიცილ-კისკისი,
სიმღერები ესმის ქურთული, —
თითქოს სულს მოხსნეს
ბორკილები, მძიმე ურდული.
იქნება კიდევ ეჩვენება
ან ესიზმრება? —
თურქეთში ქურთის სიმღერები
არ შეიძლება!

დაბერებულა საცოდავი,
ბედი დასცინის!
და გუთანს მძიმედ ებჯინება
ღონეგაცლილი.

არც ერთი კუთხე
ოსმალეთში არ ეგულება,
სადაც შეეძლოთ ქურთებს ლხინი, მხიარულება.

ხედავს საწყალი გუთნისდედა,
საბჭოთა მხრიდან
როგორ გადმოდის სიმღერები
სიცოცხლის -ხიდად...

აქეთ ტრაქტორი:
სიმღერები, ლხინი, ვართობა,
გალმა-გუთანი,
ტირილი და უსამართლობა.

საბჭოთა მხარე გადაშლილა
როგორც წალკოტი,
„ალბათ ნაყოფიც ბევრად უფრო
უხვი გამოდის!..“

იმ გუთნისდედას
აქაურის შეშურდა ბედი
თავისუფალის,
ბედნიერების
და შემოქმედის.

მშობლიური პარტია

გავცქერ სამშობლოს ამაყად, რწმენით
და სიხარულით გული ანთია,
ყველაფერს სწვდება გონება შენი
და შემართება, დიდო პარტიავ!

იყო უდაბნო ერთ დროს რუსთავი,
ენატრებოდა ხრიოკ ველს მგზავრი,
დღეს სადღა არის ქარი მსუსხავი,
აღდგა ქალაქი ახალი, მძლავრი.

ხალხის გულიდან ამოწვდენილა,
ეს მისი ძველი ოცნება ახდა
და რომ არ იყოს შენი გენია,
რა ვიქნებოდით, პარტიავ, ახლა!

ციმბირმაც იგრძნო ეგ შენი სხივი
და გაგვაოცა დოვლათით, მადნით,
რა იქნებოდა — უგრძნობი, ცივი, —
თუ არა შენი სითბო და მადლი!

უხსოვარ დროდან მდინარეები
მიაგორებდნენ უმიზნოდ ტალღებს,
შენი კარნახით მათაც შევეებით
და დავუმკვიდრეთ სინათლე ხალხებს.

დიდო პარტიავ, სამშობლოს ძალავ,
ეს შენ აგვტყორცნე მწვერვალზე ზევით,
შენი ალამი გვიჭირავს მარად,
კომუნიზმისკენ მივდივართ რწმენით.

ოქტომბერს

დიდება მარად, სიცოცხლე მნათი
ჩვენი გაჩენის უბადლო ზეიმს.
მილიონთ გული, ღიმილი მათი
ძევლს მარადიულს, ხელთუქმნელს შეიქმს.

იგი ფოლადის ძეგლი არ არი,
არც ბრინჯაოა გაულუნველი
და ქვაც რომ იყოს, თუნდაც მაგარი,
მაინც აღგვიან საუკუნენი.

სიყვარულია, ხალხის ოცნება
ეს ძეგლი... მასთან ვერვინ გაგვყაროს,
სიხარულია, პატიოსნება,
იგი მარადყამს გვესხივოსნება,
სანამ იქნება დრო და სამყარო.

და ოქტომბერი — ეს ჩვენი მზეა
იგი ფეთქება ჩვენი გულისა,
ყოველი წინსვლის ბედი და სვეა,
იქ, სადაც ხარაჩოების ტყეა
და დღეა წრფელი სიყვარულისა.

და იქაც, სადაც ხალხების ნებით
ციმბირის ველებს ვუცვალეთ გზები
და დგას თავთავი ოქროგულისა.

და იქაც, სადაც მშვიერი ველი
ემორჩილება დაუღლელ მარჯვენს,
სადაც დოვლათი აუწონელი
ჩვენს ძლიერებას დაუთვლელს აჩენს.

სადაც მშვიდობის სწრაფმა რაკეტამ
ცას უსასრულოს გადაამეტა.

ყველგან ოქტომბრის სხივი დაგვნათის,
მისი სისხლი და მისი გულია,
მისი სუნთქვაა ყველგან მარადის,
მისი უქრობი სიყვარულია.

პარტიის ზრუნვით ვარ ბედნიერი,
მე, ქურთის სიცოცხლის ძალას მანიჭებს,
დღეს მაქვს სამშობლო ასე ძლიერი
და კომუნიზმის ვხედავ კარიბჭეს.

ჩემს მეგობარს

ირგვლივ მიდამო დაიფარა ნისლით და ღრუბლით,
შავი მანდილი ცამ წამოისხა,
ნაირფერ შუქით აბღღვრიალდა თბილისის შუბლი,
შენ გამახსენდი, მეგობარო, საღამოისას.

და მომაგონდა იმ მრისხანე ომის დღეები,
როცა სამშობლოს ვიცავდით მკერდით,
მეგობრულ ფიცით მტერს გულდაგულ როცა შევეებით
და ჩვენს ვპირობას სისხლით რომ ვწერდით.

აღსრულდა ჟამი! მოვიხადეთ ვალი მხედრული,
დღეს მილიციის პოსტზე ვარ მდგარი,
თუმცა დაეშორდით, მაგრამ კვლავაც ჩემთან მეგულვი,
მეგობრობას ხომ არა აქვს ზღვარი!

და ახლა ისევ, მეგობარო, გუშაგად ვდგავარ,
თუმცა ომის ხმა არ ისმის ირგვლივ,
მაგრამ პარტიას საიმედო დარაჯად ვყავარ,
რომ ჩვენს ქალაქში დავამყაროთ წესი და რიგი.

ისევ აფხიზლებს ტელეფონის წკრიალი ოთახს,
მოგონებათა ტიეტეებს დღენი.
საქმეებში ვარ თუმც ჩაფლული, წარსულზე ვშფოთავ
და შენ გიგონებ, მეგობარო, ხმა მესმის შენი.

მსურს მოგილოცო

მე შენი სახით მსურს მოვულოცო
ქალებს ერაყის ქურთისტანისას,
რომ შურისგების ანთებდეთ კოცონს
ბაასისტების მოსასპობად, ლერწამტანისავ!

შენ ხალხის გული მოიგე მარად,
წმინდა ომში რომ მტრების რისხვად კვლავ იქუფრება,
შენი სიცოცხლე ჩააგდე არად,
საკუთარ ხელით მოიპოვე თავისუფლება.

გზა აირჩიე, ძნელი, მკაცრი, საროსტანისავ,
უყვარხარ ყველას, მეტი ჯილდო სხვა არა ვინდა,
გაქვს გამოხედვა მოკამკამე წყაროს წყალისა
და წყაროსავით მიზანიც — წმინდა!

შენ დაამტკიცე, რომ ამ ქვეყნად ქალიც გმირია
და მამაცურად შეებრძოლე, როგორც არწივი,
რომ ომში ქალსაც თავი ბევრჯერ გაუწიროს,
რაზმს წარუძეხი წინ ვაქცაცივით.

არ მოგილოცო, არ შემიძლია,
ეს ქალთა დღეა, შენი გრძნობის, შენი ალერსის,
ჩვენში გმირების დაფასება მუდამ იციან
და უსურვებენ: ჰქონდეთ გული ცეცხლში ნალესი.

პოეტი

შენ ხარ ბულბული ცისა და მიწის,
 მშობელ ქვეყანას უგალობ ლაღად.
 შენს სულს, რომელიც მუდამეამს იწვის,
 ბედნიერების ნათელი ახლავს.
 შენ საოცნებო ფარულ გზებს იცნობ
 და იხედები სივრცეთა იქით;
 მთვლემარე მთებსაც სურთ გაიღვიძონ,
 როცა შენს გულში ხმაურობს ფიქრი.
 შენ ხანჯალივით გიჭირავს ელვა
 და როგორც ისარს, რაკეტას ტყორცნი
 შენს დიდ სიყვარულს მორჩილებს ყველა,
 სამყაროს ძე ხარ სისხლით და ხორციით.
 ხარ მომღერალი ცისა და მიწის,
 მშობელ ქვეყანას უგალობ ლაღად;
 შენს სულს, რომელიც ყოველ წამს იწვის,
 ბედნიერების ნათელი ახლავს!

პირველი სიყვარული

მწამს: პირველი სიყვარული
ყველაფერზე მძლავრია;
მუდამ მასზე მღერის გული,
მუდამ მისთვის სცალია...
პირველ სუნთქვას, პირველ სიტყვას,
პირველ თრთოლვას ვადარებ;
ცრხაკლიტულით გამოგიყვანს,
ცხრა მთას შემოგატარებს.
მზე ჩავა და მზე ამოვა,
ხეს გაცვივა ფურცელი;
მაგრამ პირველ სიყვარულში
კვლავ დარჩები გულწრფელი!
მწამს: პირველი სიყვარული
ყველაფერზე მძლავრია;
მუდამ მისთვის გვიძგერს გული,
მუდამ მისთვის გცალია!

შენ რომ არ იყო

როცა ჩემთან ხარ, მე მაშინ ვმღერი,
სისხლი მიღულს და ჯანით ვივსები,
ფრთებივით მითრთის ორივე ხელი
და უკვდავების მაღლს ვეთვისები.
ქვეყნიერებას ოცნებით ვუვლი
და სიცოცხლეზე მოჩქეფს სტრიქონი;
შენ რომ არ იყო, ეს ჩემი გული
გაცივდებოდა, როგორც გრიფონი.

მიუვარხარ

ლამაზო ქალო, ჩემი გული სავსეა შენით
და ყოველ დილით თითქოს ახალ სასწაულს ელის.
მიღიხარ ნელა, ნიავევით მიწას შორდები,
მხრებზე გერბევა ნაწნავები, როგორც შოლტები.
უბიწო სახე, მიწიერი, ნაზი დიდება
ეთამაშება მზის სინათლეს მოურიდებლად,
გშვენის ღიმილი, იღიმები ისე კეთილად,
ყველა სიკეთე თითქოს შენში გამოკვეთილა.
გიყურებ კრძალვით, მოსწყენია გულს საგულეში,
განკურნე ჩემი სიჭაბუკე — მითხარ ნუგეში.
შენი პოეტი სტრიქონებში ღამეებს ათევს
და მაინც მართებს სტრიქონები, მაინცა მართებს.
ო, სიყვარული იღუმალი სენია სწორედ,
მის მშფოთვარ მორევს თვით ჟამთასვლაც ვერ დაამდორებს.
ოკეანეს ჰგავს იგი მართლაც, უკიდვანოს,
ვერ შემოსწვდება საჭაბუკეც დაუღეგარი.
ვერ ამოიცინობს მის გულისთქმას ვერც ერთი ლექსი,
თუმც ყველას გულში გადგმული აქვს უკვდავი ფესვი.
ლამაზო ქალო, ჩემი გულიც სავსეა შენით
მუდამ მგონია, ახალ-ახალ სასწაულს ველი.
დე, მბრძანებლობდეს სიყვარული ჩემს ყოველ სუნთქვას,
შენს გამო მიყვარს ეს ცხოვრებაც, შენი ვარ სულ მთლად.

აზხაზეთი

ჩემი ტკბილი წალკოტი
მხარე გასაოცარი,
შენი მიწის დამლოცი
არის ბევრი მგოსანი.

გული მისად მეგულის
სადაც გაზაფხულია,
შენი ტრფობით ეს გული
მუდამ გათანგულია.

გაქვს ულევნი ვარდები,
ღიმილი და ყვავილი,
ყველას შეუყვარდები,
ვინც შენს ახლოს გაივლის.

ხარ ნამდვილი ედემი,
გულზე ცეცხლად მედები,
რა გინდ შენგან შორს ვიყო,
ყველგან შეიმედები.

როცა გზებზე ბინდია,
ზეცა ლურჯ ზღვას ჩაჰყურებს,
ცაზე მთვარე ჰკიდია,
როგორც თეთრი საყურე.

ფარფატებენ ქალები,
როგორც თეთრი მტრედები,
შენი მზით და დარებით
შენ არ დაგვიბერდები!

მახსოვს პალმის ჩრდილები,
საოცნებო დილები,
ბედნიერი წყვილები
შენს მზეს ვინაწილებდით.

აფხაზეთო, სავარდევ,
სიყვარულით ამანთე!
ხარ ნამდვილი ედემი,
ყველგან შეიმედები.

გული დავაზიარე
შენს ზღვასა და მზიანეთს.

შენ გწერ

ჩემო ლამაზო, შევთვალა ქალო,
ქვეყნად მე შენით ვხარობ და ვგალობ,
მადლობა ვუთხრათ დიად პარტიას,
ჩვენი ცხოვრების დიად განთიადს.

ვარ ბედნიერი დროის მნახველი,
და მსურს სუყველა ქურთის სახელით,
ვაქო, ვადილო პარტია ბრძენი,
ვინც აგვაცდინა ცხოვრება ძველი.

პარტია არის წმინდათა წმინდა,
მისგან გულეებში მზე ამობრწყინდა.
პარტია არის იმედი მტკიცე,
მე მას ვუმღერი ისევ და ისევ!

ქურთის ოჯახში განუკითხავი,
სიღარიბე და ტანჯვა სუფევდა,
მან ჩვენს სიცოცხლეს მისცა მიზანი,
და მოგვიტანა თავისუფლება.

მან შეგვავყვარა ქვეყნად წიგნები,
მისით ვხარობ და მისით ვინთები,
კვლავ შენთან არის მარად და მარად
ჩემი სწრაფვა და ჩემი ფიქრები.

ჩემო ლამაზო შევთვალა ქალო,
ქვეყნად მე შენით ვხარობ და ვგალობ,
ვაქოთ, ვადილოთ პარტია ბრძენი,
ვინც დაგვაფიწყა ცხოვრება ძველი!

პირველი მაისი

დღეს არის ვარდობის თვე და
გარშემო ვარდ-ყვავილს ვხედავ,
ზეციდან მზის ფანტელს გვაყრის
მზე — უხვი სინათლის დედა.

სიმღერებს ბოლო არ უჩანს,
ყივინა მოედო ქუჩას.
წითელი დროშები ბრწყინავს,
ან კი ვინ დარჩება შინა.

დღეს სულ სხვა დაგვიდგა დარი,
წავიდა რაც იყო წინათ.
ქუჩებში დროშების ტყეა,
პირველი მაისის დღეა.

ლამაზთა მშვენიერ თვალებს,
მალლიდან მზე უთვალთვალებს,
იცინის კაცი თუ ქალი,
დამდგარა დღე სანუკვარი.

მოდის მშრომელი ხალხი
ვინც მოსპო ბნელი და თალხი.
მე ვხედავ საბჭოთა მებრძოლს,
ვინც ქვეყნად მშვიდობას ეძმო.

მე ვხედავ გულამაყ მგოსნებს,
მზისა და იმედის მომცემს,
ამ ხალხში მე ბევრი ვცანი,
ვინც შესძლეს, დაეპყროთ ცანი.

დღეს არის ვარდობის თვე და
გარშემო ვარდ-ყვავილს ვხედავ,
ცხრათვალა იცინის ცაზე,
შუქის და სიმშვიდის დედა!

მე ვხედავ, ვინც ეძმო ვარსკვლავს,
ვის გულსაც ნაღველი არ ჰკლავს,
ვის გულმაც არ იცის დაღლა
და მუდამ მიიწევს მაღლა.

მე ვიცნობ სუყველა მათგანს,
ვინც იღებს თუჯსა და მადანს,
ვინც ჩვენში ჩაყარა ვაზი,
ვაზივით ახარა აზრი,
პირველი მაისის დღეა
ქუჩებში დროშების ტყეა.

გაზაფხულზე

გადმოიხედავს მზე ლაქვარდ ციდან
და გადმოიშლის ოქროს დაღალებს,
ყველა გათბება, ვისაც შესცივდა
და ვინც ზამთარში თოვლქვეშ დამალეს.

მზეზე ბრწყინავენ მდინარეები
მშრალი ხეები წყლით გამაძღარან,
რომ იზრდებოდეს ლერწმის ღერები
წყლად ჩამოდინდა მთათა ჭაღარა.

მთებიდან დაბლა, ხეობებისკენ
ჩამოდნა თოვლი, ჩამოიქურა
და იყურება არწივი ცისკენ,
უელვარებენ თვალნი გიქურად.

ტყე შეიფოთლა, ფერი უცინის
და შველი თავის ნუკრს ეფერება,
ხოლო არწივი, დიახ, უწინ ის
უნდა ეწვიოს ღრუბელთ სერობას.

თავის კალაპოტს ებრძვის მდინარე
როგორაც სხეულს ებრძოდეს სული,
სული მდინარის, შლეგი, მძვინვარე,
საზღვრებს ცოტაობს თავზეგასული.

ლომის კლანჭებით კლდოვან ნაპირებს
შეეტოტება მდინარე ისევ,
თითქოს გაფრენას ცისკენ აპირებს
და ხევ-ხევ მიხტის ხარხარი მქისე...

ბროლის სხეული ემსხვრევათ ტალღებს
ემსხვრევათ იგი კლდეზე, ქვიშაზე,
მაინც ამბობენ, არა გვიშავსო
და, როგორც მუქთად მორთმეულ ნაღებს,
შეირგებს ქვიშა ქათს მდინარისას....

ბუნება კი ჰქსოვს ოქროთი, ვერცხლით,
თავს ილამაზებს პატარძალივით,
და ბულბულს გულზე ედება ცეცხლი
და ყეფა მისი ისმის ძალუმად.

ღ ა მ ე

ბნელია ღამე და ყველაფერი
ძილს მისცემია, — არას მოველი,
არა ჩანს მთვარე და ვერცხლისფერად
ვინ გაანათოს ირგვლივ ყოველი!

სძინავს ბუნებას და მშვიდი ქარი,
ნაღარდობს, მე კი ამ წყნარ ღამეში
არ გამეხსნება მოლხენის კარი
და სევდა ისე, ვით წყალი ხეში,

გულში ჩადგება და ჟრუანტელი
დამივლის ტრფობის და შენი ეშხის,
— არ ვარ მომცვლელი აქიდან ფეხის
და ფანჯარასთან ისევ მოგელი...

მოგელი, გიხმობ, მაგრამ შენ რატომ
გსურს, რომ ილხენდე ამ სულის სევდით,
და გული ჩქროლევას მაშინ უმატებს,
როცა, ძვირფასო, შენ ვერა გხედავ.

...ჩემი ფერია ღრუბელთა შორის
მთვარედ გადმოდგა, გაანათა ცა
და მომლოდინეს ნაწი ამბორის
ისე გამშორდა, რომ ხმა არ გამცა.

ნუ გამისხლტები, ახალგაზრდობავ

ნუ გამისხლტები, ახალგაზრდობავ,
უნუგეშობით ნუ დამაღონებ;
ჯერ ჭაბუკი ვარ, თვეა ვარდობის,
ძალუმაღ ფეთქავს ჩემი ძალ-ღონე!

აცალე ჩემ თმებს დახუჭუჭება,
დე, თვალთა ჩემთაც დაკვესონ ცეცხლი,
სიბერეს ლომიც არ ეურჩება,
სიკვდილის ძალას რა ძალა შეცვლის?!

სად მიჰქრი, ოქროს ახალგაზრდობავ,
ვერ დაბრუნდები ვერასდროს უკან;
სავსე თავთავი როგორ გასწორდეს —
მიწა თავისკენ იზიდავს ლუქმას.

როცა ალვის ხე ჰყვავის, — ბერდება,
მერე ფოთლებსაც ჟამი წაართმევს.
ბულბულს თვალები აუცრემლდება,
მომაკვდავ ვარდთან ღამეს გაათევს.

თუ გამისხლტები, ახალგაზრდობავ,
უნუგეშობით თუ დამაღონებ, —
მაინც ვიხილავ ახალ ვარდობას,
მაინც იფეთქებს ჩემი ძალ-ღონე, —

რადგან სიცოცხლე არის უკვდავი
და უკვდავებს თვით ხალხი ჰკვდავს;
ვერ შემაშინებს შენი მუქარა
და ჩემს მომავალს დავხვდები მხნედა!

ქარღოე ახალი

*** (მზე ამოდის, მზე ჩახჩახებს...) — თარგმანი მურმან ლებანიძისა	3
*** (ღრუბლიანი ცა იყო...) — მისივე	4
*** (უმხურვალესმა...) — მისივე	5
*** (მაღალ მთებიდან...) — მისივე	6
*** (უსაშობლო კაცი...) — მისივე	7
*** (როგორც მთაში ჯიხვზე...) — მისივე	8
*** (გარდუვალთა სიბერე...) — მისივე	9
*** (მზე ჩადის, ჩადის...) — მისივე	10
*** (ჰე, მამულო, შენს უღრუბლო ცას...) — მისივე	11
*** (ახალგაზრდობა ჩქარია...) — მისივე	12
*** (ციცი, მოვედები ერთხელ...) — მისივე	13
ღარეჯან — მისივე	14

ჯალილე აჯოე

თბილისი — თარგმანი იორამ ქემერტელიძისა	15
ფაკე ტაირან — მისივე	16
მშობლიური ენა — თარგმანი ოთარ შალამბერიძისა	17
გვიყვარს მშვიდობა — თარგმანი იორამ ქემერტელიძისა	18
ლენინის პარტია — მისივე	19
ჩემი ქვეყანა — მისივე	20
საშობლო — მისივე	21
ომი ქურთისტანში — თარგმანი ოთარ შალამბერიძისა	22
შაქე — თარგმანი ირაკლი არაბულისა	24
მშობლიური მხარე — მისივე	25
ქურთის ასული — მისივე	26
ნარე — მისივე	27
მე ჩემს სიმღერას ვმღერი — მისივე	28
სიმღერა — თარგმანი ბესიკ ხარანაულისა	29
„ტანჯვა“ — მისივე	31
ქურთისტანელი დედა — მისივე	33
ქურთისტანის მთები — მისივე	34

ტოგარ ბროევი

ზარე — თარგმანი ვახტანგ ჯავახიძისა	35
ბასო — მისივე	41

ბახჩოე ისკო

პეი, ძვირფასო! — თარგმანი ლადო სულაბერიძისა	45
ძმებო ქუთრებო! — მისივე	46
მამის რჩევა — მისივე	47
თემური და როსტამი—მისივე	49
წყარო — მისივე	50
საბჭოები — მისივე	51
ორი ზედი — მისივე	52
ზედი ქურთისტანისა — თარგმანი თეიმურაზ ჯანგულაშვილისა	55

აზიზე ისკო

სამშობლო — თარგმანი იორამ ქემერტელიძისა	60
ქართველი ქალი — მისივე	61
ლენინური კომკავშირი — მისივე	62
ლენინის პარტია — მისივე	64
ჯიგიტები — თარგმანი შალვა ფორჩხიძისა	66
შემოსევა — მისივე	68
ალაგიოზი — მისივე	71
შვეხარა — მისივე	73

მოროვ მამედოვი

მეგობრობა — თარგმანი მედეა კახიძისა	75
შოთა რუსთაველს — მისივე	77
ლენინი — თარგმანი ოთარ შალამბერიძისა	79
არაქსის ვაღმა — თარგმანი შოთა ნიშნიანიძისა	81
მშობლიური პარტია — თარგმანი სტეფანე მხარგრძელისა	83
ოქტომბერს — მისივე	84
ჩემს მეგობარს — მისივე	86
მსურს მოვილოცო — მისივე	87

შკოე პასანი

პოეტი — თარგმანი ოთარ შალამბერიძისა	88
პირველი სიყვარული — მისივე	89
შენ რომ არ იყო — მისივე	90
მიყვარხარ — მისივე	91
აფხაზეთი — თარგმანი მედეა კახიძისა	92
შენ ვწერ — მისივე	94
პირველი მაისი — მისივე	95
გაზაფხულზე — თარგმანი ბესიკ ხარანაულისა	97
ღამე — მისივე	99
ნუ გამისხლტები, ახალგაზრდობავ — თარგმანი ოთარ შალამბერიძისა	100

რედაქტორი ც. ჯაფარიძე
მხატვარი ვ. ქუთათელაძე
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი ნ. ასათიანი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VIII-65 წ.
ქალაქის ზომა 60×84¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 6,5.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 3,29.
უკ 10111. ტირაჟი 1000. შეკვ. № 735.
ფასი 20 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Типография № 1, Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

215/355

